



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

OCTOBRE

1936—№ 128

ოქტომბერი

1936 წ.

№ 128

დემოკრატიული საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ყენევაში.

ერთა ლიგის კრება და კავკასიის ერები.

აღ. ასათიანი—წერილები იტალიაზე.

რ. ინგილა—ღირებულებათა გადაფასება.

ხ. შავიშვილი—საქართველო ორ კონგრესზე.

ყ—ბერლინი და მოსკოვი.

თანამედროვე პოლიტ. ემიგრ. ისტ. ინსტიტუტი.

მევი კეღია—წერილი რედაქციის მიმართ.

უ ე ნ ე მ ა უ ი

1934 წლიდან ყოველ სექტემბერს «ამირანის (პრომეთეს) ფრონტი», საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ერთა მისწრაფებათა გამომსახველი დაჯგუფება, რომლის ცენტრში კავკასია, უკრაინა და თურქესტანი იმყოფებიან, მწყობრად და სისტემურად ურდგენს ერთა ლიგის მორიგ ყრილობას დასაბუთებულ ნოტებს თუ მემუარებს და მით ახსენებს იქ დამსწრე 53 სახელმწიფოს წარმომადგენელთ ხსენებულ ერთა ჯირ-ვარამს, ბრძოლას, იმედებს...


განა წინედაც კეთდებოდა მზგავსი ნაბიჯები, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მაშინ თვითეული ერის წარმომადგენელი ცალკე და დამოუკიდებლად გამოდიოდა. ამ მხრივ, ცხადია, სხვებზე მეტი მუშაობა აწარმოვა საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, და ეს მით უფრო, რომ საქართველოს დაშვება ლიგაში პრინციპიალურად გადაწყვეტილი იყო კიდევ პირველ ყრილობაზედ 1920 წ., და მხოლოდ მოსკოვის ვერაგულმა თავდასხმამ ჩაშალა ის, შემდეგ წელში.

ჩვენი მეზობლებიც ეწეოდენ, რა თქმა უნდა, მუშაობას ყენევაში, მაგრამ ამას თავიდანვე უფრო კოლექტიური ხასიათი ჰქონდა, რადგან კიდევ გაზაფხულს 1921 წ., ქართული სექციის თაოსნობით, ეგრ. წოდ. ოთხთა საბჭო დაარსდა—საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და მთის მონაწილეობით. უნდა ითქვას, კავკასიის ამ მთლიანმა წარმომადგენლობამ ფრიად ინტენსური მუშაობა გასწია არა მარტო ყენევაში, არამედ სპეციალურად მოწვეულ

საერთაშორისო კონფერენციებზეც და დიდ სახელმწიფოების დედა-ქალაქებში, სადაც მოლაპარაკებაც კი უწარმოებია მთავრობებთან ზოგიერთ კონკრეტულ კითხვებზე. ხოლო 1925 წლის მიწურულში, როცა, ქართველ ერის აჯანყებასთან დაკავშირებით, კავკასიის კონფედერაციის კითხვა დაისვა, სომხეთის დელეგაციამ, მიუხედავად თავის თანაგრძობისა, შესაძლებლად ვერ დაინახა საჯაროდ მიკედლებოდა მას და შემდეგ ოთხთა საბჭო სამთა საბჭომ შესცვალა კონფედერაციის დროშის ქვეშ, რომელიც მიღებულ იქნა განსაკუთრებული ოქმით კიდევ 1924 წ. ნოემბერს.

1926 წ. სამთა საბჭომ ხელი მოაწერა უკრაინის გახიზნულ მთავრობის წარმომადგენელთან ცალკე შეთანხმებას, რომლითაც ისინი პირდებოდენ ერთმანეთს მუშაობის საერთო ძალით წარმოებას. ამავე წელში დაარსდა ორგანო ფრანგულ ენაზე «Prométhée», რომელიც ჯერ კავკასიის სამი ერის სახელით გამოდიოდა და ესლა კი მათთან ერთად უკრაინის და თურქესტანის სახელით გამოდის, და იმავე დროს საბჭოთა ყველა ჩაგრულ ერთა დაცვას აწარმოებს.

ამ დროიდან ხშირდება გამოსვლები კავკასია-უკრაინის, ან მარტო კავკასიის სახელით ყენევაში თუ სხვაგან, მაგრამ ეს არ უშლიდა თვითეულ ერის წარმომადგენელს თავის განსაკუთრებული გამოსვლებიც გაეკეთებინა, იმ პირობით კი, რომ კოლექტიური და სეპარატული გამოსვლები ერთმანეთს არ დაპირდაპირებოდენ.



საქართველოს, თავის გარკვეულ იურიდიულ სტატუსის და აგრედევ იმ დავალების თანახმად, რომელიც ერთა ლიგამ მიიღო მის მიმართ, მუდამ უხდებოდა და უხდება ქენევაში ცალკე ნაბიჯების გადადგმა.

ასე წარმოებდა მუშაობა, სანამ 1934 წელი არ დადგა და არ დაისვა საბჭოთა ერთა ლიგაში შესვლის კითხვა. სწორედ ამ წელში მოაწერეს ხელი კავკასიის სამი ერის ცენტრებმა კონფედერაციის პაქტს, რომელმაც 1921 წლის დეკლარაციის ადგილი დაიჭირა და სადაც სომხეთს თავისი ადგილი დატოვებული აქვს. დაარსდა კავკასიის კონფედერაციის საბჭო, რომელიც აერთიანებს მთელს მუშაობას შინ და გარედ. დაარსდა აგრეთვე კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის ერთა მეგობრობის კომიტეტი.

აი, ასე დარაზმული შესვლა «ამირანის (პრომეთეს) ფრონტი» მოსკოვიტების ქენევაში დაშვებას. მან ვერ მიადწია, ცხადია, თავის მიზანს, და ეს შეუძლებელიც იყო მაშინდელ პირობებში, მაგრამ მოსკოვი რომ უკანა კარებიდან ხახვით შევიდა ლიგაში, ეს უმთავრესად «ამირანის ფრონტის» დაუცხრომელ მუშაობას მიეწერება. ჯერ იყო და საქართველომ პირდაპირ მოთხოვა ლიგის ყრილობას 1922 და 1924 წ. წ. დადგენილებათა განადგება; შემდეგ, «ამირანის ფრონტმა» მოითხოვა ლიგის პაქტის შესაფერ მუხლების სასტიკად დაცვა საბჭოთა დაშვების გადაწყვეტის დროს. ყრილობამ არ მოისურვა არც ერთი ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ მან ვერ ააცდინა მოსკოვის მთავრობას და უზოგველ საბრალდებულს ოქმის წაკითხვა შვეიცარიის საგარეო მინისტრის მოტას მიერ მის წინააღმდეგ, რასაც მიეკედლენ ჰოლანდიის და არგენტინის დელეგატები და საჯაროდ შავი კენჭი მისცეს საბჭოთა დაშვებას.

მოტამა სთქვა, რომ საქართველოს, სომხეთის, უკრაინის და სხვების კითხვა არ მომკვდარა და ის ყოველთვის წამოიჭრება, სანამ ერთა ლიგა არსებობს. მოპირდაპირენი, ბარტუს მეთაურობით, ვერ უარყოფდენ ამას და, პირიქით, ამბობდენ, რომ საბჭოთა ერთა ლიგის შიგნით ყოლა უფრო გაადვილებს ამ ერთა კითხვის მშვიდობიანად მოწესრიგებას.

«ამირანის ფრონტი» სწორედ ამ დაპირებას ახსენებდა ლიგის ყრილობათ 1935 და 1936 წ. წ. კავკასიის კონფედერაციის საბჭოს სახელით კი ვრცელი მემუარი გადაეცა წელს იმავე ყრილობას, სადაც მოთხრობილია მოკლე ისტორია კავკასიის ერთა

შეუთვარ ბრძოლისა თავისუფლებისათვის, კავკასიის ეკონომიური შესაძლებლობანი, მისი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა წარსულსა და მომავალში, როგორ გადაესკვნა მისი ბრძოლა საბჭოთა დანარჩენ ერთა ბრძოლას და რა უტყუარ იმედებს გვიღვიძებს ყველა ეს გარდაუვალ შინაურ და საგარეო კრიზისის ეამს მთელი რეჟიმისთვის.

კავკასიის დელეგაცია ცალკე ნოტაში ერთა ლიგას პასუხისმგებლად აცხადებდა იმის გამო, რომ დაშუვა თავის წრეში მოსკოვის მთავრობა და ანგარიში არ გაუწია საბჭოთა მოსახლეობის ნახევარს, არარუს ერებს და მით თითქო მოიწონა მათი გაუგონარი და ველური დევნა-აწიოკება.

და ეს ნაბიჯები გადადგმულ იქნა სწორედ იმ დროს, როცა ლიტვინოვი დიდ ერთგულებას იჩენდა ეთიოპიის დელეგაციისთვის ადგილის შესანახად ყრილობაზედ, ნეგუსის მეთაურობით! ის არ ცხრებოდა გამოქომაგებოდა ეთიოპიის შელახულ უფლებას, მის აღდგენას, ერთა თავისუფლებას!

ხედმეტია ხანგასმა, რა ცუდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ აშკარა ორპირობას ლიგის წრეებზე. «ამირანის ფრონტის», ისე როგორც კავკასიის დელეგაციას არა ერთხელ ჰქონდა შემთხვევა თავის ყურით მოესმინა ლიგის წევრთაგან მათი აღშფოთება მოსკოვიტების ასეთ სამარცხვინო საქციელის გამო. ისინი ამბობდენ: ჩვენ არ შეგვეძლო უარგვეყო ეთიოპიის დელეგაციის უფლება დასწრებოდა ყრილობას, მაგრამ, როცა ამ პოზიციას იცავს ისეთი მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც თვითონ სთელავს ფეხქვეშ ვაცილებით უფრო დაწინაურებულ ერთა უფლებას, რომელმაც პირშავად დაარღვია მის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო პირობა საქართველოსთან,—ეს ნამდვილი მსოფლიო სკანდალია!

მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ამ სკანდალში თვით ერთა ლიგას უდევს წილი! და ესლა ამის ნაყოფსაც იმკის. ვინ არ იცის, თუ დღეს ერთა ლიგა რა საშინელ კრიზისს განიცდის, ამის არაუკანასკნელი მიზეზი ისიცაა, რომ მან საბჭოთა კავშირი თავის წევრად გახადა. მართლაც, იმ დროიდან, რაც მოსკოვის მოგსაგნილებმა ქენევაში დაიწყეს თარეში და მის ტრიბუნას თავის დამრღვევ იდეების გასაგრცვლებლად იყენებენ, ლიგას ფეხიდან ეცლება ნიადაგი და მის დადგენილებათ სერიოზულად არავინ უწყევს ანგარიშს.

ევროპა იყოფა ორ ბანაკად და თვითველ ბანაკის სათავეში დიდი სახელმწიფონი სდგანან, დიქტატორულ და დემოკრატიულ მთავრობებით. მოსკო-

ვი ცდილობს, წინამდებარე თვით მისი ბუნებისა, დემოკრატიულ მთავრობათ მიეკედლოს და, დახეობ, კიდევ აღწევს ბევრგან თავის მიზანს. და ამანაა სწორედ ისპანია რომ განსაცდელში ჩააგდო და თვით საფრანგეთს იგივე საბედისწერო ხვედრი მოეღოს, თუ დროზე არ ალაგმა მოსკოვის ვერავი ცდა, შიგნიდან ააფეთქოს ის. ბელგიის გამოთიშვა ლოკარნოელთა ბლოკიდან უმთავრესად რუს ფრანგთა პაქტის შედეგია, და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის კოალიციურ სამინისტროში სოციალისტნიც მონაწილეობენ. სულ ახლო მომავალში გამოირკვევა, დარჩა თუ არა კიდევ რამე იმედი დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა მორიგებისათვის, და, თუ ამ უკანასკნელმა ცდამ, უნაყოფოდ ჩაიარა, ომი გარდაუვალი გახდება.

დავუბრუნდეთ ისევ ლიგას, რომლის უძლურება საანდაზო გახდა, დიდ სახელმწიფოთა ურთიერთ ქიშპობის გამო. მაგრამ ამით არცა როდის ედოთ მასზე გული, ორი კიდევ გამოეთიშა, ერთს, თვით დამარსებელს, არცკი შეუდგამს მის კარებში ფეხი. ამრიგად, ცხადია, თუ ვინმე ამყარებდა თავის იმედებს ერთა ლიგაზე, — ეს ისევ მცირე ერები იყვნენ, მათ შეუხახეს სწორედ ადგილი. «დიდების» წინამდებ, ეთიოპიას. უკანასკნელის მწარე ხვედრი მათ ყველას ელანდებთ და ამიტომ წლებზე ფეხს იდგამენ, რათა განამტკიცონ ლიგის ძალაუფლება. ვერავინ იტყვის, რომ მცირე ერნი ამას მიაღწევენ,

მაგრამ აქედან იმის დასკვნა, რომ მათ ზურგი უნდა შეაქციონ ქენევის საერთაშორისო დაწესებულებას, დიდი შეცდომა იქნებოდა.

რამდენად უფრო მნიშვნელოვანია ლიგის ირგვლივ მუშაობა ჩვენსავით არათავისუფალ, ჩაგრულ ერთათვის! სხვა არ იყოს რა, ჩვენმა მტერმა, მოსკოვის მთავრობამ, ქენევა თავის ფლიდ მუშაობის მთავარ ასპარეზად გაიხადა და იქიდან ცდილობს თავის გავლენის გავრცელებას სხვა ქვეყნებზე. ეს კიდევ გაითვალისწინა, თავის დროზე, კავკასიელთა კონფერენციამ და განსაკუთრებული დადგენილებაც მიიღო, რომ მის მიერ შექნილი აღმასრულებელი ორგანო ყოველ ზომას მიიღებს, რათა მოსკოვის დემაგოგიურ ორპირ გამოსვლებს თავისი ახილი, სამართლიანი და გაბედული გამოსვლები დაუპირდაპიროს.

ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად გამგზავრა წრეულს ქენევაში კავკასიის დელეგაცია და შეძლებისა და გვარად ეცადა თავის მისიის პირნათლად ასრულებას. მოვალედ ვრაცხთ აქვე აღვნიშნოთ უღრმესი მადლობით ის უანგარო და ნაყოფიერი სამსახური, რომელიც მას გაუწია «ყურნალ დე ქენევი»-მა, ჩვენი ნაცად მეგობრის ქან მარტენის მეთაურობით. უნდა ითქვას, კავკასიელთა, ისე როგორც «ამირანის ფრონტის» მოქმედებას ქენევაში კარგი პრესა ჰქონდა, შვეიცარიის გადამცა, დიდ და პატარა სახელმწიფოებში.

ერთა ლიგის კრება და კავკასიის მკრები

სექტემბრის 25-ს ანკარაში, ჩრდილოეთ კავკასიის, საქართველოს, თურქესტანის და უკრაინის წარმომადგენლებმა მოხსენება წარუდგინეს ერთა ლიგის მეჩვიდმეტე საერთო კრების თავმჯდომარეს ბ. სავედრა ლამასს, სადაც მიაქცევენ ლიგის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ შეუძლებელია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა აღმოსავლეთ ევროპაში, თუ არ იქნა დაცული საბჭოთა მიერ დაჩაგრულ ერების ინტერესები. ეს მოხსენება დაიბეჭდებდა ჩვენი გაზეთის შემდეგ ნუმერში.

ხოლო 28 სექტემბერს იმავე თავმჯდომარეს გადაეცა მემორანდუმი კავკასიის პრობლემის შესახებ კავკასიელ დელეგაციის სახელით. მემორანდუმთან ერთად დელეგაციამ ასეთი განცხადება წარადგინა:

«ბ. თავმჯდომარე, გაახლებთ რა ამასთან მემორანდუმს კავკასიის პრობლემისათვის, კავკასიის კონფედერაციის პაქტის თან დართვით, ჩვენ გვასუღმდეგულებს იმის ღრმა რწმენა, რომ ერთა ლიგის კრებაზე წარმოდგენილი სახელმწიფონი და მათი მთავრობანი, დანიტერესებულნი საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფაში, ვერ დასტოვებენ

უყურადღებოდ იმ ერების ბედს, რომლებიც იბრძვიან უცხოელთა მიერ წართმეულ თავისუფლებისათვის, რადგან ეს უკანასკნელი გარემოება საფრთხეში ავდებს მშვიდობიან განვითარებას ქვეყნის ამ ნაწილში. მართალია, ჩვენი ერები არ არიან ერთა ლიგის წევრები, ხოლო იქა ს. ს. რ. კავშირი, რომელმაც მათ გზა შეუკრა, და ბედავს გამოვიდეს მშვიდობიანობის და სამართლიანობის დამცველად. ერთა ლიგის კრებამ ამ სახელმწიფოს თავის ოჯახში მიღების დროს არ შეამოწმა კოვენანტის მოთხოვნილების თანახმად, თუ რამდენად იყო ამ სახელმწიფოში უზრუნველყოფილი მშვიდობიანობა და სამართლიანობა, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს, ჩვენი თავმდაბალი გაგებით, ქენევის დიდს საერთაშორისო დაწესებულებას იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელიც თავს იდგა თავის ერთ-ერთ წევრის მიერ გაუგონარად დაჩაგრულ ერების მიმართ.

კავკასიის ერებს, რომლებიც თავის განთავისუფლების საქმეში ეყრდნობიან საკუთარ ძალებს, ღრმად სწამთ, რომ ერთა ლიგა მათ აღმოუჩენს შესაფერ მომენტში თავის მფარველობას».



ხელს აწერენ: მირ იაკობი, თავმჯდ. აზერბაიჯანის დელეგაციისა, შახმანი—ჩრდილო კავკასიის ყოფილი მთავრობის წევრი, ავ. ჩხენკელი—საქართველოს ყოფ. ელჩი საფრანგეთში.

მემორანდუმი კავკასიის პრეზიდენტისათვის.

რუსეთის მეფეთა ერთ საუკუნეზე მეტის ბატონობამ კავკასიაში ვერ შესძლო კავკასიელ ერთა ნაციონალურ მისწრაფებათა აღმოფხვრა და ვერც მათი ბრძოლის შეჩერება უცხო უღლისა და თვითპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ.

ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ამ ერებმა ისარგებლეს 1917 წ. რევოლუციით, რომელშიაც თვით დიდს აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, და ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, 1918 წ. გაზაფხულზე აღადგინეს თავიანთი დამოუკიდებლობა. დაუყენებლივ შექმნეს რესპუბლიკები: სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასია და საქართველო; და შეუდგნენ ცხოვრების მოწყობას დასავლეთის მეთოდების თანახმად. შედარებით მცირე ხნის განმავლობაში წესიერად ამოქმედდნენ ეროვნული სახის: პარლამენტი, ჯარი, ადმინისტრაცია, სასამართლო, სკოლები.

სახელმწიფოებმა, თავიანთი წარმომადგენლების შემწეობით ადგილობრივ, სამართლიანად დააფასეს კავკასიელ ერთა შემოქმედებითი მუშაობა და იცნენ მათი რესპუბლიკები—ზოგი de facto და ზოგიც de jure. კიდევ მეტი: საქართველომ 1920 წ. 7 მაისს ხელშეკრულება დასდვა რუსეთთან, რომლის პირველი მუხლი ამბობდა: «რუსეთი ყოველი რეზერვის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და თავის ნებით უარს ამბობს ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ერისა და ტერიტორიის შესახებ».

მაგრამ საბჭოთა მთავრობამ შემოიკრიბა დიდძალი კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალები, ხელახლა დაიკავა ჩამოშორებული მხარეები და 1919 წელს მიადგა კავკასიის საზღვრებს. კავკასიის ერებს არ მოეპოვებოდათ იარაღი და საომარი მოკაზმულობა, არც ვინმე დაეხმარა მათ გარედან, და თუმცა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, მაგრამ ვეღარ გაუმკლავდნენ უამრავ ძალებს და ერთიმეორის შემდეგ დაჰკარგეს თავიანთი დამოუკიდებლობა.

ამ დღიდან კავკასიის ერები მედგრად ებრძვიან ოკუპანტების მართველობას. აჯანყებანი ჩრდილო კავკასიის 1919 წ., აზერბაიჯანის 1920, სომხეთის 1921 და საქართველოს 1924 წ. მტრებმა სისხლში ჩაახრვეს და მამულიშვილნი ათასობით დაეცნენ ჯალათებისაგან გულგანგმირულნი, დაიღუპნენ ჩეკის სარდაფებში, სოლოვკაში და სხვაგან.

ხოლო მას შემდეგ რაც კოლექტივიზაცია დაიწყო სოფლებში, კავკასიის გლეხების აჯანყებამ გამუდმებული ხასიათი მიიღო და მიიღწია უმაღლეს წერტილს 1930-32 წლებში. ბოლშევიკურმა მთავრობამ გაძლიერებული ჯარების შესვლით, მხრჩოლავი გაზებით და ავიანებიდან გამოსროლილ ყუმბარებით უპასუხა მემამბოხე გლეხებს.

კავკასიელი გლეხები, რომელნიც წვრილი მესაკუთრნი არიან უხსოვარ დროიდან, ვერ იგუებენ კოლექტივურ მეურნეობას. მოსკოვის მთავრობამ კარგად იცის ეს და ის იძულებული იყო რამდენჯერმე შეეჩერებია ეს სისტემა, რომ შემდეგ კვლავ შესდგომოდა მის განხორციელებას მეტის სისასტიკით. აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობისა გამო საოკუპაციო ხელისუფლებამ ნახევარი გლეხობაც ვერ შეიყვანა «კოლხოზებში». ამიტომ ურჩ გლეხთა დევნა კიდევ დიდხანს გაგრძელდება და ბევრი სისხლიც დაიღვრება.

მოსკოვმა გადააქცია კავკასია ნამდვილ კალონიად, ანადგურებს მის ბუნებრივ სიმდიდრეს და აუძლურებს მოსახლეობას ძალდატანებითი მუშაობით. იგი აიძულებს კავკასიას, მიაწოდოს რუსეთის ფაბრიკებს და ქარხნებს დასამუშავებელი მასალა და ამით მოუხსნა მკვიდრთ ყოველი ეკონომიური დამოუკიდებლობა, მოშალა ადგილობრივი სამეურნეო სისტემა, აიძულეს ხალხს მოიყვანოს რაც შეიძლება მეტი ძამბა, ჭარხალი, თამბაქო, აბრეშუმი, ჩაი და სხ. და რაც შეიძლება ნაკლები ხორბალი.

კავკასიის მდიდარი საძოვარი ადგილები დაცალიერდა მრავალ მილიონ საქონლისაგან, რომელიც შთანთქეს საოკუპაციო ჯარებმა და ბიუროკრატია. შეუბრალებლად იჩენება ძვირფასი ხე-ტყე, განთქმული მთელ დედამიწაზე, და ამგვარად გაშიშვლებული ფერდობები იწვევენ ატმოსფერულ ცვლილებას, რასაც ვუფლია კატასტროფული ვნება მოუტანოს მხარეს.

საჭირო არაა შეჩერება იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ნავთს და მარგანცს ს.ს.რ. კავშირის ეკონომიაში. უამ-მადნეულოდ, შეიძლება გადაჭრით ითქვას, საბჭოთა მთავრობა ერთი ხუთწლედის გეგმასაც ვერ შეასრულებდა, ვერც დაუკვეთდა უცხოეთს ასე მრავლად ძვირფასს და გაუმჯობესებულს მანქანებს, ვერც დაიჭირებდა უცხოელ სპეციალისტებს და ვერც შეინახავდა უთვალავ პროპაგანდისტებს მთელი დედამიწის ზურგზე. საბჭოთა მთავრობა ისაკუთრებს ნავთის და მარგანცის მთელს შემოსავალს და ოდნავად არ ფიქრობს არც ამ სიმდიდრეთა მესაკუთრებზე და არც მუშებზე, რომელთაც უმოწყალოდ ამუშავებს.

ამნაირსავე მდგომარეობაშია კავკასიის სხვა პროდუქტებიც. ხელისუფლება ერთად ერთი მყიდველია და გამყიდველი, და მეთოდურად სძარცვავს ხალხს. კავკასიის ნავთსადგურები სრულიად დაკეტილია კერძო კომერციისათვის უცხოეთთან, ხოლო რუსეთის ცენტრიდან მოტანილი საქონელი განთქმულია თავის უვარგისობით და სიძვირით.

კავკასიის ერების ამ ორმაგ ექსპლოატაციას—ყიდვის და გაყიდვის მხრით—ამძიმებს ეროვნული დამონება, რომელიც ღებულობს გაუგონარი ცინიზმის სახეს, როცა მოსკოვი მის მიერ დანიშნულ ჩეკისტებს და გამცემლებს ასაღებს კავკასიის «რესპუბლიკათა ნაციონალურ მთავრობებად». ეს ცინიზმი კიდევ უფრო შორს მიდის, როცა მოსკოვი ამბობს, რომ კავკასიის ერები სრული ნებაყოფლობით შევიდნენ ს. ს. რ. კავშირში და ყოვე-



ლთვის შეუძლიათ თავის ნებითვე უკან გავიდნენ. ყოველი «მთავრობა, რესპუბლიკა» ცალიერ სიტყვაა, რადგან მოსკოვმა თანდათან წაართვა მათ თავის დეკრეტებით მართველობის ნასახიკი. რომ არ ვილაპარაკოთ საგარეო საქმეებისა და ჯარზე, რომელიც გაუქმდა ოკუპაციის თავიდანვე,—კავკასიის მთელი ცხოვრება—ადმინისტრაცია, სასამართლო, სახალხო განათლება, ფინანსები, ვაჭრობა, წარმოება, მიწათმოქმედება, ერთი სიტყვით ყველაფერი იმყოფება ცენტრალურ ხელისუფლების კანტროლს ქვეშ. სახელმწიფო მამულების შემოსავალი და სხვადასხვა გადასახადები პირდაპირ შედის ს. ს. რ. კავშირის ხაზინაში და ამის ნაცვლად ადგილობრივი «მთავრობანი» იღებენ სასაცილო დოტაციას, რომლის დახარჯვაც არ შეუძლიათ თავისუფლად.

სომხური, ქართული, თურქული და სხვა ადგილობრივი ენები, რომლებიც დიდის ამბით აღიარებული იყვნენ სახელმწიფო ენებად, თანდათან იდევნიებიან ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებიდან და ამათ ადგილს იკავებს «ლენინის ენა», ე. ი. რუსული. ცენტრალურმა მთავრობამ ამას წინადასვალდებულად გახადა რუსულის სწავლება კავკასიის პირველ დაწესებულებებში და ამრიგად ახად-გინა მეფეთა რეჟიმის განთქმული გამარჯვებელი სისტემა.

რაც შეეხება სარწმუნოებას, იგი განსაკუთრებული სიმძლავრითაა დევნილი კავკასიაში. ყოვლის უწინარეს ეკლესიებს და მიწვითებს (მეჩეთებს) საოკუპაციო ხელისუფლებამ წაართვა ყოველივე ქონება და ბევრი მათგანი გადააქცია კლუბებად და სატუსაღოებად; სამღვდლოება დააყენეს კანონს გარეშე და ჩამოართვეს ბავშვების აღზრდის უფლება. ეკლესიებისა და მიწვითების დანგრევით, რომლე-

ბიც უკანასკნელი საფარველი იყო დაჩაგრულ ერებისთვის, საბჭოთა მთავრობამ გზა გაუხსნა რუსულ ტოლდას მათი ეროვნულ ინდივიდუალობის ჩასახრობად.

მიუხედავად ამ სისხლიანი ოკუპაციის გახანგრძლივებისა, კავკასიის ერები სიმხნევეს არ ჰკარგავენ და შეპყრებენ მომავალს იმედით. ეს სიმტკიცე აიხსნება იმით, რომ ისინი მარტონი არ არიან ბრძოლაში საოკუპაციო მთავრობის წინააღმდეგ. დაჩაგრულ ერთა რიცხვში, კავკასიის გარედ, უნდა ჩითვალოს უკრაინა, თურქესტანი, აგრეთვე თეთრი რუსეთი, ვოლგის, ურალის და ყირიმის თათრობა და ბევრი აგრეთვედებული «ავტონომიური» ტერიტორია. ყველა ამ დაჩაგრულ ერის რაოდენობა, თვით საბჭოთა ოფიციალურ ანგარიშით, შეადგენს კავშირის მოსახლეობის ნახევარს.

მოსკოვს ძალიან კარგად ესმის ამ ერების მნიშვნელობა და როლი ომის დროს; მას სიკვდილსავით ეშინია არა თუ ამ ერების, არამედ თვით რუსის ხალხის საყოველთაო მობილიზაციისა, რადგან ჯარისკაცებად გაწვეული რუსის გლეხები, ვიდრე საგარეო მტრის შეუტევდენ, ეგებ შინაურ მტრებს მიეციონ, რომელთაც მათ წაართვეს მიწა და თავისუფლება, ეს მით უფროა შესაძლებელი, რომ გლეხებს ახსოვთ, რომ ყირიმის დამარცხებამ ბატონყმობის მოსპობა მოიტანა, მანჯურისამ—სახელმწიფო სათათბირო და დიდმა ომმა კი თვითპყრობელობის დამხობა.

მოსკოვის მართველებმა ორ ფრონტს უნდა გასცენ პასუხი: ნაციონალურ ფრონტს მათი იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სოციალურს მათი რეჟიმის წინააღმდეგ. კავკასიის ერები შემოიკრებენ ძალას, განიმტკიცებენ ნებისყოფას და ამყარებენ თავის გამარჯვებას მდგომარეობის ასეთ ვითარებაზე.

(დასასრული შემდეგ ნუმერში)

წ მ რ ი ლ მ ბ ი ი ტ ა ლ ი ა ზ ე

II.

ამ ათიოდე წლის წინად განსვენებულმა არისტიდ ბრიანამ იტალიელებს «ახალგაზნა ერი» უწოდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასეთი ფრაზით უპასუხა იტალიის მეთაურის, ბენიტო მუსოლინის მრავალ გამოსვლებზე, სადაც იგი იტალიისათვის მეტის ანგარიშის გაწევას მოითხოვდა საერთაშორისო საკითხების გადაჭრის დროს.

არისტიდ ბრიანის ასეთი დაფასება იტალიის პრეტენზიების, სისწორით გამოსახავდა არა მარტო საფრანგეთის, არამედ, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო აზრსა და შეხედულობას: ახალგაზნა ერს აქვს ახალგაზნადური, გადაჭარბებული ამბიციები და ასეთს მის გატაცებას დიდი ანგარიში არ უნდა გაეწიოს საერთაშორისო ურთიერთობაში. ახალგაზნა ერი ამ სიტყვებში უთუოდ გამოსახავს სახელმწიფოებრივ მცნებას—ახალგაზნა სახელმწიფოს, და ამ მხრივ იგი სრულებით არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს. თანამედროვე იტალიის სამეფოს ერთი საუკუნის ისტორიაც არ აქვს დასრულე-

ბული და იგი ევროპის ყველაზე უფრო ახალგაზნა სახელმწიფოების რიგს ეკუთვნის. მაგრამ საერთო შეხედულობა კიდევ უფრო შორს მიდის. იტალიელი ერი ახალგაზნა ერად არის მიჩნეული არა მხოლოდ როგორც სახელმწიფო, არამედ ასევე როგორც ეთნიური ერთეული. ასეთი შეხედულობა ემყარება იმ შეგნებას, რომ სულ სხვა იყო რომის იმპერიის იტალიელი და სულ სხვაა დღევანდელი. თუთხმეტი საუკუნის მანძილზე ძველი ერი გაქრა და მისი ადგილი აპენინის ნახევარ კუნძულზე დაიკავა ახალმა შერეულმა ეთნიურმა მასსამ. ამით აიხსნება, როდესაც მუსოლინის და მისი თანამებრძოლთა ქადაგება რომის ტრადიციებზე და მისი სულის აღდგენისა და აღორძინების შესახებ იტალიის გარეშე უფრო ღიმილს იწვევს. სად რომელი და სად იტალიელი, რა არის საერთო მათ შორის—ასეთია საერთო აზრი და შეხედულობა.

რომ ასეთი აზრი მეტად ზერელეა და შემცდარი, ამაში დასარწმუნებლად არ არის საჭირო რთული მეცნიერული კვლევა-ძიების მოხდენა. საქმარისია



სულ უმთავრესი და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების მოგონება ევროპის ისტორიიდან უკანასკნელი თუთხმეტი საუკუნის მანძილზე. ამ ეპოქის გასწვრივ ევროპის კონტინენტის მანძილზე ადგილი ჰქონდა რამდენიმე დიდს რასიულ მოძრაობას და ხალხთა გადანაცვლებასა და მასიურ შერევას, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებად შეეხა აპენინის ნახევარკუნძულს, რომელიც სამი მხრით შემორტყმულია ზღვით და მეოთხეთი კიდე მალაი მთებით, რაც ფრჩად უშლიდა ხელს სხვა რასების ამ ქვეყანაში მასიურად შემოჭრასა და დამკვიდრებას. ასე რომ ევროპის სხვა კუთხეებთან შედარებით იტალიამ ყველაზე ნაკლებად განიცადა რასიული შერევა და ეთნიური ცვალებადობა.

მაგრამ საერთო აზრი მტკიცედ დამკვიდრდა ამ ისტორიულ სინამდვილის გარეშე და მის საწინამდევლოდ. თანამედროვე იტალიას იგი არ აკუთნებს არამც თუ ძველი რომის იმპერატორებს, არამედ რენესანსის ეპოქისაც. მას კიდე მიაჩნია დასამზღვევად, რომ იტალიამ კვლავ წარმოშვას ხელოვნების დარგში რაფაელის, მიქელ-ანჯელოსა და დანტეს მსგავსი გენიოსები. ასეთი ინდივიდუალური გენიის აღმოჩენა ადგილი ჰქონია ბევრგან სხვაგანაც, ძველსა თუ ახალგაზდა ერებში. მაგრამ სულ სხვაა ეროვნული კოლექტიური სულის აღდგენა, რესტავრაცია. მით უმეტეს, როდესაც საერთო შეგნებით თანამედროვე იტალიელი ერი სხვაა, ვიდრე ის ერი რომელიც არსებობდა რომის იმპერიის ხანაში. ამის გამო გარეშეთთვის უბრალო დემაგოგია თუ არაა, ყოველს შემთხვევაში ეს არის ფაშისტური მოძრაობის რომანტიული განცდების გამოსახულება, როდესაც მუსოლინის ოთახში იულიუს კეისარის ბიუსტს ხედავენ, როგორც სიმბოლოს თანამედროვე იტალიის სულისკვეთებისა და მათს სიტყვებში ესმისთ რომაულ ლეგიონების ხშირი მოგონება. ერს რომ შორეულ თავის წინამორბედებთან საერთო არაფერი აქვს, ამის საბუთად ის მოჰყავთ, სხვათა შორის, რომ თანამედროვე იტალიელი სრულიად მოკლებულია ძველ რომაელთა მხედრულ თვისებებს. ცნობილია, რომ ჩვენს დროში იტალიელ ერს მეტად ცუდი სახელი ჰქონდა სამხედრო საქმეში. იტალიელთა ასეთი დაფასება საყოველთაო იყო ყველგან და ეს სავსებით გამოძვლავდა იტალია-აბაშეთის ომის დროს. ასეთი შეხედულობა უთუოდ საქმოდ ძლიერი იყო თვით იტალიელთ შორის. უთუოდ ამ ერის დიდი ნაწილიც ნაკლებად იყო და-რწმუნებული იმაში, რომ მათ სისხლში კვლავ მძლავრად სჩქედს ძველ რომაელთა სისხლი და მათს ბუნებაში რომაელ მოქალაქეთა თვისებები.

უთუოდ ერთ ერთ ამის გამოსახულებად უნდა ჩაითვალოს ერთი გარემოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ომის დროს. თითქმის ყველა სახელმწიფოები ამხედრდნენ იტალიის წინამდევ და აბაშეთის დასაცად დაირაზმენ. მაგრამ მრავალს ქვეყნებში გამოჩნდნენ წირები, რომელთაც იტალიის მხარე დაიჭირეს და ზოგან რაზმების შედგენაც განიზრანეს იტალიის მხარეზე ომში მონაწილეობის მისაღებად. ზოგიერთი ეს წრეები ამ საქმეში ერეოდნენ ფაშისტ-

ტური მოძრაობის მხარის დაჭერის მიზნით და ზოგს კიდე თავისი ეროვნული ზრახვები ჰქონდა. იტალიის წინაშე დადგა გადასაჭრელად ასეთი დახმარების მიღებისა თუ არ მიღების საკითხი და თავიდანვე ორი საწინამდევო აზრი გამოირკვა. როგორც ამბობენ იგი გადასწყვიტა მარშალ ბადალიოს მიერ წარდგენილმა დასკვნამ. იტალიის სამხედრო ძალის მეთაურმა აღნიშნა ის გარემოება, რომ იტალიის სამხედრო ნიჟის შესახებ მეტად ცუდი წარმოდგენის არიან გარეშენი და ნაწილობრივ შინაურნიც და რომ უდიდესი ეროვნული ამოცანაა ასეთი შეხედულობის დარღვევა. მან მოიგონა ერთი ომი ავსტრო-უნგრეთის იმპერიასთან, როდესაც იტალიას ენმარებოდა უცხოელთა მცირე სამხედრო ძალა და იტალიის გამარჯვება ამ მცირე უცხო ძალას მიეწერა. ეს ომი სავსებით საკუთარი ძალით უნდა ვაწარმოვოთ და ყველა მისი შედეგები ჩვენს ერს დავაკისროთ. მარშალის ასეთი გადაწყვეტილება რომ სწორი გამოდგა, ეს უკვე ეხლა ნათელია. ამ ომმა გამოამყლავა, რომ ახალმა იტალიამ შესძლო უკანასკნელ საუკუნეთა მანძილზე ყველა სხვა კოლონიალურ ომებზე უფრო დიდი საკოლონო ომის წარმოება, და ეს ერთსულოვნად აღიარეს უცხო ქვეყნების სამხედრო სპეციალისტებმა. რასაკვირველია, ასეთი დაფასების დროს მხედველობაში მიღებული ომის წარმოების ყველა პირობები და არა მხოლოდ მისი მხედრული მხარე. ტექნიკური უპირატესობანი იტალიელთა მხრივ რომ ფრჩად დიდი იყო, ეს არავისათვის არ არის სადავო. მაგრამ მეორე მხარეს ჰქონდა თავის მხრივ ისეთი უპირატესობანი, რომლის დაძლევა ვერავინ შეძლო ათეულ საუკუნეთა მანძილზე. ამ ომის უმთავრეს სიმწელეს წარმოადგენდა ამ ქვეყნის სრულიად განსაკუთრებული ტოპოგრაფიული პირობები, რაც მოითხოვდა მხედობასა და გამბედაობასთან ერთად უდიდეს ფიზიკურ გამძლეობას და ამტანლობას. თანამედროვე იტალიელს აღმოაჩნდა ყველა ეს თვისებები არა ნაკლებად, ვიდრე ეს ჰქონდა მას რომაელ წინაპრებს.

III.

მაგრამ ამ ომის სამხედრო საქმე ერის მცირე ნაწილს დააწვა, ბრძოლის ველზე გაყვანილ ნახევარ მილიონ იტალიელს. ეროვნული თვისებების დაფასების მხრივ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ამ დანარჩენი ორმოცი მილიონი იტალიელის ბუნება ამ მძიმე დროს გამოჩენილი და გამოაშკარავებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ომის დროს ხალხი სისხლით უფრო ადვილად იღებს მსხვერპლს, ვიდრე ქონებითა და საღსრით. როდესაც იტალიის წინააღმდეგ ეკონომიური სანქციები გამოაცხადა თითქმის მთელმა კაცობრიობამ, მუსოლინიმა ამას იტალიაზე ალყის შემორტყმა უწოდა და პირველივე დღიდან, ომის დასრულებამდე იტალიამ შემოიღო ახალი კალენდარი—ეკონომიური ალყის პირველი, მეორე, მესამე დღე... იტალიის მეთაური პირველსავე თავის სიტყვაში დაჰპირდა თავის ერს, რომ ეს ალყა ვერ მიაღწევს თავის მიზანს და იტალიის ეკო-



ნომიური ცხოვრება ისეთივე იქნება 300 დღის შემდეგ, როგორც არის დღეს. ასეთი იმედიანი და გამამხნეველი განცხადება ყველას ბუნებრივად მოეჩვენა შექმნილ მძიმე პირობებში, მაგრამ არამც თუ გარეშე, არამედ შიგნითაც ალბად ბევრს არ სჯეროდა, რომ ეს დაპირება განაღდებოდა. ხოლო როდესაც სანქციების კალენდარი ას და ორას დღეს გადასცილდა, ყველამ დაიჯერა, რომ მუსოლინის დაპირება არ ყოფილა მხოლოდ გასამხნეველი სიტყვა, არამედ რეალურ შესაძლებლობას გამოსახავდა და ქვეყნის შესაძლებლობის ანგარიშს ემყარებოდა.

ქვეყანამ, რომელიც მეტად სუსტი იყო ფინანსურად და ეკონომიურად, მეტად დამოკიდებული სხვა ქვეყნებზე, ისე დაასრულა მძიმე ომის რვა თვე, რომ მისი ეკონომიური ცხოვრება თითქმის არაფრით შეცვლილა. მართალია კვირამი ორი დღე მარხვად იქნა გამოცხადებული და ამ დღეებში ხორცი არ იყიდებოდა, მაგრამ ესეც უფრო ფსიქოლოგიური მარხვა იყო, ვიდრე ფიზიოლოგიური. მოხარული და შემწვარი ხორცი არ იყიდებოდა, მაგრამ დაშაშული ხორცი და კონსერვი მრავლად. ადგილობრივ ნაწარმობების ფასები არ აწეულა და შემოტანილზედაც ფრიად მცირედ. მრავალ შინაურ ნაწარმობების ფასები კიდევაც დაეცა. რომში მოიპოვებოდა რესტორანები, რომლის კარებზე ასეთი განცხადება იყო გაკრული: სანქციების გამო ჩვენი ფასები 10 პროცენტით დაკლებულაო. გასაგებია, რომ იტალიის გარეშე საგრძობად დაეცა ეკონომიურ და ფინანსურ ალყა შემორტყმული ქვეყნის ფულის ღირებულება. ეს რასაკვირველია ჰქმნიდა ღირის სპეკულიაციისათვის დიდს ასპარეზს. მიუხედავად ამისა სულ რამდენიმე ასეთს მაგალითს თუ ჰქონდა ადგილი დასაწყისში და ამის შემდეგ იტალიაში ვერავინ გადაახურდავებდა ღირას გარეშე მისი ოფიციალური კურსისა. ეს რასაკვირველია ვერ აიხსნება სასჯელის შიშით, რადგან ჩვენი ვიცი, რომ ამისათვის საბჭოთა რუსეთში სიკვდილითაც სჯიან, მაგრამ ეს ვერ სპობს შავი ბირჟების საქმიანობას. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ხალხის ზნობრივი დისციპლინა და პატრიოტული შეგნება, სამშობლოს ინტერესებისათვის შეგნებულად მსხვერპლის გაღება.

უცხოელებს უთუოდ ღიმილს გვრიდა, როდესაც მუსოლინიმ თხოვნით მიჰმართა იტალიელ დედებს, რომ მათ თავის ქორწინების ბეჭდები მიეღვნათ ომის საპრობლემებისათვის. ანგარიშობდნენ, რამდენი ოქრო უნდა შეეკრიბა ხაზინას ამ გზით და მისი ღირებულება, რასაკვირველია, დიდი არ იქნებოდა. მაგრამ როდესაც კოკისპირულ წვიმის ქვეშ მრავალი მილიონი იტალიელი დედა გაემწვრივა მთავრობის რწმუნებულთა სადგომების წინაშე, იტალიის დედოფლის მეთაურობით, და თავის ქორწინების ოქროს ნიშნები რკინის ბეჭდებზე გადაცვალეს, უთუოდ ბევრმა შეიგნო, რომ ეს აქტო ჰქმნიდა ერისთვის ისეთ დიდს ზნობრივ ღირებულებას, რომლის დაფასება არ შეიძლებოდა არავითარი ოქროს თუ სხვა მატერიალური ნიშნებით.

ეს ომი არ იყო სამშობლო მიწა-წყლის დასაცავად წარმოებული ომი. იგი იყო კოლონიალური ომი, გარეშე და შორეული. ასეთი ომები არასოდეს იწვევს განსაკუთრებულ პატრიოტულ ანთებასა და თავდადების წყურვილს. მაგრამ იტალიამ ეს ომი ჩაატარა უმაღლესი პატრიოტულ აღზნებით, უმტკიცესი სულიერი სიმტკიცითა და დისციპლინით, როგორც ომობენ მაგარი ერები თავის მიწა წყალს დასაცავად, თავის სამშობლოს კარების წინ.

ასეთი გარემოების ახსნა არ შეიძლება მარტო იმით, რომ იტალიელი დიდს სივიწროვეს განიცდის და ახალი მიწების შეძენა მისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია. სიღარიბე და გაჭირვება უთუოდ იწვევს ბრძოლასა და ძიებას, მაგრამ ასეთს ბრძოლას ყოველთვის დაჰკრავს თავისი ელფერი. მარტო ანგარებზე აშენებული ბრძოლა არასოდეს იძლევა თავგანწირვისა და თავდადების მაღალ ზნობრივ ფორმებს. აქ უთუოდ სხვა იყო მთავარი მამოძრავებელი ძალა და სული და ეს უთუოდ იყო არა მიწის გაფართოვების საკითხი, არამედ ეროვნული ღირსების, ეროვნული პრესტიჟის, ეროვნული თავმოყვარეობის საკითხი.

და რომ ასე იყო, ეს სჩანდა თავიდანვე და მთლად ნათელია დღეს. ომი არ იყო დაწყებული, ხოლო სამომარი მზადება სწარმოებდა ახდილად და ყველამ იცოდა, რომ დღეს ხვალ აბაშეთში ომი იფეთქებდა. ეს ყველასთვის შესამჩნევი იყო, მაგრამ გამიჯობია მრავალი იტალიელისაგან, რომ ეს ომი დასაწყისში არ იწვევდა ენტუზიაზმს, არ იწვევდა რაიმე გატაცებას. აბაშეთთან ომი იტალიას არ მიაჩნდა საამაყო საქმედ. იტალია არ სთვლიდა მას ღირსეულ მოწინააღმდეგედ. სურათი მყის გამოიცვალა, როდესაც ინგლისმა ახდილად აიღო იტალიის ზრახვებისადმი მტრული პოზიცია და მისმა ფლოტმა ყველა ზღვებით იტალიის გარშემო წყლებისკენ დაიწყო დუნა. თუ ქვეყნის მეთაურებში, სადაც ყოველივე ანგარიშში ვერდებდა, ეს ბუნებრივად გამოიწვევდა ერთგვარ შიშს, ხალხში ამაღ გამოიწვია ერთსულოვანი კმაყოფილება, შესაძლოა სინარულიც. მის შეგნებაში ომი აღარ იყო სათაკილო, არამედ ღირსეული და ეს გრძობა ხალხში კიდევ უფრო გაღვივდა, როდესაც მრავალი სხვა სახელმწიფოს პოზიცია ასევე მტრული გამოდგა. აფრიკეთში მიწის წართმევის საკითხი რომ ყოფილიყო მხოლოდ, ეს რასაკვირველია ასე არ იქნებოდა. ყველა მოხარული იქნებოდა თუ ეს მოხდებოდა შეუმჩნეველად და ნაკლები მსხვერპლით. მაგრამ დღეს ერში დაგუბებულ ცხოვრებას უკვე გაერღვია ჯებირები და ეს სტიქიონი უკვე ვეღარ მოთავსდებოდა ვერც ძველს კალაპოტში და ვერც ძველს ფორმულებში.

ამ დღეების გასწვრივ მე მოწამე ვარ რომის დღესასწაულის—იგი გამარჯვებას დღესასწაულობს, მაგრამ მე ვხედავ, მე მესმის, მე განვიციდი—არა მარტო აბაშეთზე. იგი დღესასწაულობს გამარჯვებას გარეშე ძალაზე, ვინც მას წინ აღუდგა, და თვით თავისიანებზე, ვისაც საკმაო რწმენა არ ჰქონდა თავის ძალის, ყველაზე ვინც ფეხს ითრევდა და ფრთხილობდა, და სწორედ ეს მხარე იქცევს ჩემს ყურადღებას

ამ ქამად, როდესაც უკანასკნელ რადუნატებისა და სამხედრო აღლუმების დროს მთელი ეს რომაული ხალხი დავინანე სულიერად და ხორციელად გაერთიანებული, შედუღებული, ერთი მიზნითა და ერთი ნებისყოფით შეპყრობილი და აღზნებული გარეშეთა წინაშე და თვით თავის თვალში ამაღლებული, გაამაყებული.

ამ მოვლენას ბევრი ფრიად ცალმხრივად ხსნიან. ყოველივეს მიაწერენ თანამედროვე იტალიის ფაშისტურ წყობის განსაკუთრებულ ბუნებას. შემდეგ წერილებში შევეცდები დავასაბუთო, რომ იტალიის თანამედროვე აღორძინების პროცესი უთუოდ უფრო რთულია, უფრო ღრმა, და მასში უმთავრეს როლს თამაშობს თვით იტალიელი ერის თვისებები, მასში დაგროვილი და შენახული ღირსებები. აქ არის უმთავრესი და მტკიცე საძირკველი ამ დიდი აღორძინებისა. ძველი რომის და საშუალო საუკუნეთა მრავალ თაობათა მეტყვიანობა, ისტორიულ წარსულში ჩაკრული, ცოცხალ ერის სულიერ და ხორციელ არს შეედრულა და ეს არის უმთავრესი ნიშანდანი ამ ქვეყნის აწმყო და მყოფადი განვითარებისა. და როდესაც ვისმენ ძველი რომის მოედანზე მუსოლინის სიტყვებს, სიტყვებს რომელსაც მას უსმენენ ამ ქამად მრავალი მილიონი იტალიელი თავის სამშობლოს მიწაზე და მთელი მოფლიოს მანძილზე, უხილავი ძალა ჩემს ფიქრებს მიაფრენს შორს, ძველს ტფილისში, რომელსაც ყველა სხვა ქალაქებზე უფ-

რო ჰგავს ეს რომი თავის მდებარეობით, თავის ძველი სულით და თავის ტიბროსით... მაგონდება საქართველოს და მისი დედაქალაქის მწარე ხევდრი. იგი უფრო მძიმე იყო, ვიდრე ამ ქვეყნისა და მისი სატახტო ქალაქის. იტალია ზღვებით არის გარშემორტყმული და ხალხთა დიდ მოძრაობის ერებს დაშორებული. ჩვენი ქვეყანა კი ამ მოძრაობათა ხილზე იყო მოთავსებული და ამის გამო თავის წარსულში იგემა იმდენი შემოსევანი და დარბევანი, რომელიც არ უხილავს არც ერთ სხვა ერს მსოფლიო ისტორიის მთელს მანძილზე. დღეს ჩვენ მოწამენი ვართ იტალიის უხილავი აღდგენისა და აღორძინების და როდის გვეღირსება იგივე ჩვენს მშობლიურს სინამდვილეში?

მაგრამ უიმედობის იქვეებს მიფანტავს მთელი ჩვენი წარსული, მთელი ჩვენი მატინე. რა არ უხილავს ჩვენს ერს, რა არ განუცდია, და მიუხედავად ამისა მას არ დაუუკარგავს თავისი ეროვნული სიმტკიცე, მხნეობა, ნიჭი და უნარი. ამით აიხსნება, რომ მის ბედში მყოფი მრავალი სხვა ერი გაჰქრა და აღიგვა ქვეყნის პირიდან, ხოლო ის სცოცხლობს, და იბრძვის თავის ეროვნული მეობის დასაცავად. საქართველოს ასეთი თავგანწირული ბრძოლა მრავალჯერ დაუგვირგვინებია გამარჯვებით, აღდგენითა და აღორძინებით. ამასვე მოგვცემს ჩვენ მომავალი.

(შემდეგი იქნება)

ალ. ახათიანი.

ლიკებულებათა გაღაფარება

წინა წლებში იტალიის ყოველდღიურ დიდ პრესაში ძნელად თუ წააწყდებოდით საბჭოთა რუსეთის საწინაამდევო, ან და უბრალო საკრიტიკო წერილს. ფაშისტური ხელისუფლება დამშვიდებული იყო იმ ფაქტით, რომ შინ, სახელმწიფოს საზღვრებში, მან სავსებით დაფუშა და გარიცა კომუნისტური და საზოგადოთ ყველა მემარცხენე ორგანიზაციები და დაჯგუფებანი.

მიმართებანი უცხო სახელმწიფოებთან ფაშისტურმა იტალიამ იმთავითვე მეტწილად დაუქვემდებარა მარტივ მერკანტულ ზრახვებსა და ყოველივე ზომებით ცდილობდა იდეოლოგიურ შეუთრეგებლობისა თუ სხვადასხვაობის განდევნას ამ ასპარეზიდან.

ის კი უნდა შეინიშნოს, რომ ამ, ასე ვთქვათ, ვულგარულ სააღმზრდელო პოლიტიკის მტკიცედა და სწორწარსილულად გაძლიერდა ერთგვარად ასანზრდობედნენ თვით ამ ქვეყნის ეკონომიური შესაძლებლობანი, ანუ უკეთ ვთქვათ, მისი ბუნებრივი საგარიკულტურო და სამათამანო სიღატაკე, რისა გამო საკვები და ნედლი მასალის დიდი ნაწილისა, აგრეთვე ნავთის პროდუქტების იმპორტი იტალიის საგარეო ვაჭრობის ჩვეულებრივ ცხრილად ითვლებოდა თითქმის მუდამ.

ამაირად ფაშისტური მთავრობის გარდასულ წელთა საგარეო «ეკივოკები» ებმინ ამ ქვეყნის სამეურნეო და უფრო ვრცლად საეკონომიო სისუსტეს და აქედან გამომდინარეობენ; სწორედ ამავ

გარემოებამ გასულ წელს ამ სახელმწიფოს მესვეურს ჩაადენინა ისეთი საქციელი, რომელმაც ისტორიის სასწორზე ფაშისტურ მთავრობას დაადებინა არა მხოლოდ რეჟიმის, არამედ თვით სახელმწიფოს ბედი: ეს ეპოპეია ჯერ კიდევ მთლად ამოწურული არ არის...

არ უნდა გამოვტოვოთ მხედველობიდან ისიც, რომ ფაშისტური იტალია მთელის თვისი არსებითი მილიტარული სახელმწიფოა და, ვითარცა ასეთი, არაჩვეულებრივად დატვირთული არის იმსახის ხარჯებით, რომელთაც თეორიული პოლიტიკური ეკონომია არაპროდუქტიულად ჰრაცხავს; იტალიის საგადასახადო სისტემაში ესევე გარემოება მოსახლეობის ზედმეტ დაბეგვრაში გამოსჭვივის.

«ეკივოკების» პერიოდში იტალია აღმაცერად ეკიდებოდა იდეოლოგიურ მომენტის რამენაირად გამოქვადვენებას თავის საერთაშორისო პოლიტიკაში: ეს პოზიცია დააკანონა სამი წლის წინად «Popolo d'Italia»-ში «Italia e Russia»-ს სათაურით გამოქვეყნებულმა ფაშისტის წინამძღოლის წერილმა, რომელშიაც მთავრობის თავი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იტალია აბსოლუტურად არ ერევა სხვა სახელმწიფოთა შინაწყობილებაში, თვის საგარეო მიმართებას კი უქვემდებარებს მხოლოდ ურთერთ სარგებლიანობას; ამისდამხედვით იტალიის საგარეო პოლიტიკიდან შემდგომ წლებში სავსებით განიდევნა ყოველნაირი იდეური ბალასტი...

ეთიოპიაზე თავდასხმით გამოწვეულ აურზაურ-



მა აიძულა იტალია არსებითად შეეცვალა თვისი საგარეო პოლიტიკა: რევიზია უნდა შეჰხებოდა იმ უმთავრეს პრინციპს, რაზედაც ამხნობამდის ემყარებოდა იტალიის მიმართება სახელმწიფოთა დმი, ანუ კონკრეტულად: უნტერესობა საგარეო მიმართებაში უნდა აღიარებულიყო შემცდარად, განსაკუთრებით იმგვარ სახელმწიფოებრივ ერთეულები-სადმი, რომელთა სპეციფიური ბუნება და ერთბამი სოციალ-პოლიტიკური შინაარსი, განურჩევლად იმისა, თუ რა აქტით აღინიშნება იგი, მტკივნეულად ხვდება საკაცობრიო ცხოვრების ყოველ დარგს: პოლიტიკას, ეკონომიკას, მორალს...

საკმარისი იყო ამ გარდატეხის მოხდენა, რომ მყისვე დასმულიყო საბჭოთა რუსეთისა და მის აზიზ მფარველობაში მყოფ მესამე ინტერნაციონალის საკითხი ფაშისტურ მსოფლმხედველობისა და იტალიის სახელმწიფო ინტერესების მიხედვით.

იდეოლოგიური პრობლემა საზოგადოთ და ფაშინიზმისა და კომუნინიზმის მკაცრი დაპირისპირება კერძოდ ფართო მასებისათვის მიუწოდებელ წიგნებიდანა და სქელ ჟურნალებიდან გადავიდა გაზეთებში და სახალხო გამოცემებში. კაბინეტისა და ფართულ კანცელარციების ფორმულები სადღეისო ბრძოლის ლოზუნგებად შეიცვალნენ!

ქართველ მკითხველისათვის, რა თქმა უნდა, გასაცარი უნდა იყოს, რუსეთის გაბოლშევიციების თვრამეტი წლისა და იტალიის გაფაშისტების მეთოთხმეტის დამლევს იტალიური ყოველდღიური პრესის პირველად სერიოზულადა ჰსვამს საკითხებს შესახებ იმისა, რომ ფაშინიზმი და ბოლშევიზმი თურმე ანტიპოდური მცნებანია! გარნა, ჰჯობს გვიან, ვიდრე აროდეს!.

ქვემოთე შემთხვევითი ამონაწერები რომის გაზეთებიდან ნათლად მოწმობენ, თუ რა სულისკვეთება სუფევს ამჟამად იტალიაში:

«ფაშინიზმი და ბოლშევიზმი—ორივე რევოლუცია არის: ერთი აღმშენებელი, ევროპიული სულისა და იდეალის თანმიმდევნა; მეორე მწვრველი, სლავი-ანურ-აზიური სული და ფუძე მატერიალიზმისა... ერთი საბოლოო ინსტანციად ისახავს ადამიანის პიროვნების დაფასებასა და აღმადლებას კორპორაციულ სახელმწიფოში და ნაციონალ ერთეულების იერარქიულ სისტემაში შედულებას შიგნით სახელმწიფოში, ამავე დროს ამ წყების მოქნილ ამუშავებით საგარეო მიმართულებაში... მეორე პოლიტიკურსა და ეკონომიურ უნივერსალ მონობაში აღრჩობს ადამიანის პიროვნებას და სრულიად აქრობს ეროვნულ ერთეულების გამოსახულობას... ფაშინიზმი და ბოლშევიზმი ორი შეუთრეგებელი ანტიტენია...» («ლა ტრიბუნა» 25 სექტ. 1936 წ.).

«... ფაშინიზმი მიზნად ისახავს სოციალ თანამშრომლობას შიგნით სახელმწიფოში და ეროვნულ სოლიდარობას თავის საგარეო პოლიტიკაში. ის აფასებს და იცავს ყოველ იმ განძს, რაზედაც აღმშენებელი და დამყარებელი არის ევროპის დიდი ცივილიზაცია...»

უენევის სასომინდილობა და ბოლშევიკური ველურობა ერთნაირად შეთქმულარიან ევროპის ცივილიზაციის წინამდევ... ორივენი ერთნაირად ებრ-

ძვიან ფაშინიზმს, რომელიც ამ ცივილიზაციას იცავს და მის განახლებისათვის ირჯება... დღეს ორი ტენდენცია იბრძვის ქვეყნად—ფაშინიზმი და ბოლშევიზმი. ერთის მხრით იტალია. გერმანია, მეორის მხრით რუსეთი, ხოლო ეს უკანასკნელი თვისი სპეციფიური სტრუქტურისა გამო თვისი სახეს გეოგრაფიული ნომენკლატურით აღნიშნავს—საბჭოთა რესპუბლიკა... მისი საერთაშორისო საქმიანობაც ერთი მიზნით აღინიშნება: ბოლშევიკურ რეჟიმის გამარჯვება ყველა ქვეყნებში... ამ დაუფარავ ტენდენციას ამ ხანად ებრძვიან იტალია და გერმანია...» («ლა ტრიბუნა» 26 სექტ. 1936 წ. მეთაური).

«... რა ხდება და კიდევ რა მოხდება რუსეთში? დღეს ვუჭვრეტთ, როგორც ეკრანზე, რევოლუციის კლასიკურ ოხუნჯობას რევოლუციონერებისვე თავებით: ვინ უნდა გადაგორდეს კიდევ? დანტონი? რობესპიერი? და მერე?.. გარნა სტალინი ეტყობა ყველაფერში კარვად არის ჩახვედრილი, როცა განაგრძობს სხვათა თავების გდებინებას... საფრანგეთის რევოლუცია თავის ხსნას ეძებდა ევროპაში ომის გამოწვევით, რასაც კიდევაც ერთობ ცდილობდა... სტალინიმა იცის, რომ ევროპის მომავალი ომი, თუ კი ის მართლა მოხდება, აიძულებს კრემლს, ამგარიში გაუწიოს აი თუნდაც იმავე «კულაკებს», ან კიდევ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ უკრანასა და საქართველოს... მოკლედ საბჭოების ჯარს საომარი მოქმედება ექნება გარეშე მტერთანაც და ზურგსუკანაც აჯანყებულ ხალხთან...» («ლა გაზეტა დელ პოპოლო» 2 ოქტ. 1936 წ.).

ზემომოყვანილ პრინციპილ შეხედულების ამონაწერებით შეიძლებოდა შემომეფარგლა ეს კორრესპონდენცია, მაგრამ ახალგაზდა ჟურნალისტებმა სწორედ დღეს გამომიგზავნეს ერთი ერთი თავიანთი განხეთი—«ლე კონსიტე»—სადაც მოთავსებული არის წერილი «ლა ჟიურჯია», ახალგაზდული თბილი გრძობებით აღვსილი. მოვისმინოთ, რასა სწერენ ისინი, ვინც სულ ახლო წლებში მმართველთა წყებაში იდგებიან:

«... უძველესი საქრისტიანო სამეფო დაცემულია... საუკუნობიდან გვევლინება სახლარო განსაცვიფრებელი საუთმპყრობილება თამარ დედოფლისა, ქეშმარიტად უნივერსალი სიდიადე პლექტი შოთა რუსთაველისა... ერეკლე მეორემ დიდი შეცდომა ჩაიდინა რუსეთის პროტექტორატის მიღებით, რამაც შეაძლებინა საქართველოში გამაგრებულ მოსკოვიტებს მთელი კავკასიის დაპყრობა. მაგრამ ქართველებს ეროვნული გრძობები ვერ ჩაუქრო რუსეთის მუშტმა, პირიქით ის მუდამ დღეოდა და იზდებოდა და მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში შესანიშნავ პოეტის ჭაჭყავაძის ხელმძღვანელობით გააერთიანა ნაციის ყველა ინტელექტუალური ძალები, ერთადერთ ობიექტისაკენ მიმართულნი: ეროვნული დამოუკიდებლობა... მართალია მერე მარქსისტები ჩადგნენ სათავეში, მაგრამ მათი უმადლესი საგანიც სამშობლოს განთავისუფლება იყო... ეხლანდელი ამბები რუსეთში უსათუოდ სქედავენ საქართველოს დამოუკიდებლობას...»

რ. ინგილო.

საქართველო ორ კონგრესზე

სახეში გვაქვს მშვიდობიანობის მე-30 და მე-31 მსოფლიო კონგრესი ლოკარნოში (შვეიცარია) და კარდიფში (ინგლისი). პირველი შეიკრიბა 1934 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში (1-6), სწორედ ერთა ლიგის სესიის გახსნის წინაღობებში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი რუსეთის მიღებისა. მეორე — ამ წლის ივნისის შუა რიცხვებში (13-19).

ორივე კონგრესზე საქართველოს საკითხი დადგა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, მართალია სხვა და სხვა პირობებში, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ორთავეჯერ იმავე მკაფიოდ გამოხატულ მიზნით: მოთხოვნა ქართველ ერის თავის სუვერენულ უფლებებში აღდგენისა.

ფრიად საყურადღებოა ამ კონგრესების ზოგი მნიშვნელოვანი მომენტის აღნიშვნა, რათა ჩვენს საკითხთან დაკავშირებით საერთო მდგომარეობაზე ნათელი წარმოდგენა მივიღოთ. ხოლო სანამ საგანზე ვადავიდოდეთ, საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ კონგრესებს იწვევს და რამდენიმედ ხელმძღვანელობს კიდევ მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიურო, რომელმაც თავისი მუდმივი ბინა ერთა ლიგის დაარსებისას ბერნიდან ქენევაში გადმოიტანა და რომლის მთავარი მდივანი ამ უკანასკნელ 30 წ. განმავლობაში ცნობილი შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე პანრი გოლეა, ხოლო თავმჯდომარე დიდი ომის გათავებიდან მოკიდებული ბელგიელი გამომჩენილი სენატორი ლა ფონტენია. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ეს ბიურო ყოველთვის იკრებდა თავის ირგვლივ ყველა ქვეყნების პაციფისტურ საზოგადოებებს, რომელთა უნიჭიერესი წარმომადგენლები თავს იყენდნენ ხსენებულ კონგრესებზე, ხდებოდნენ საერთაშორისოთ ცნობილ პიროვნებებად და ზოგს მათგანს ნობელის პრემიაც მიუღია. საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ საქართველოს შესახებ თავისი აზრი ამ ინტერნაციონალურ პაციფისტურ დაჯგუფებას 1926 წლამდის არ გამოუტანია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საზოგადო აზროვნება წინა წლებში უფრო აღშფოთებული იყო მოსკოვის ძალმომრეობით და ამიტომაც უფრო ერთსულოვნად და კატეგორიულად იდგა საქართველოს მხარეზე. უნდა დავსძინოთ ისიც, რომ სანამ ეს ერთსულოვნება სუფევდა, მისი სიჩუმე არც ნამეტანი საგრძობელი იყო.


რითი ამართლებდა ეს პაციფისტური დაჯგუფება თავის სიჩუმეს? მისი უდიდესი წარმომადგენლები ჩვენს კითხვაზე ასეთ პასუხს გვაძლევდნენ: «ჩვენი მიზანია დაცვა ყოველივე საშვალეობით ერთა შორის მშვიდობიანობის და არა ამა თუ იმ ერის უფლებებისა. ამ ნიადაგზე რომ დავდგეთ, ჩვენ ზოგჯერ ომის მომხრედაც უნდა გამოვიდეთ». ამ დებულების დარღვევას რამდენიმე წელი მოუწია, რომელთა განმავლობაში მათთან სისტემატიურ შეხვედრების დროს ქენევაში შემდეგს აზრს ვუმტკიცებდით: «ასეთი გზით ხანგრძლივად ომის ამორება შეუძლებელია. აბა, რა მშვიდობიანობაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც მთელი ერი თუ ერთი უფლება აყრი-

ლი არიან და უცხო უღლის ქვეშ საშინელ ტანჯვას განიცდიან? ეს თქვენი დებულება ომის მიხედვით არ სწობს. პირიქით, ის მას აძლიერებს და სწორედ ომის შესაძლებლობის შექმნას ხელს უწყობს, რადგან იმპერიალისტმა წინააღმდეგობა იცის, რომ, როცა ის რომელსავე სუსტს ქვეყანას ომს აუტყებს და მას დაიპყრობს, პაციფისტები ამნაირად შექმნილი «მშვიდობიანობას» დარცავენ და ამგვარად მას მხარს გაუმაგრებენ».

ასე დაყენებულმა საკითხმა ცვლილება მოახდინა მათ მსოფლმხედველობაში. მაგრამ ეს ცვლილება რომ ნამეტანი აშკარა არ ყოფილიყო, 1926 წ. ქენევის კონგრესზე მიღებულ რეზოლიუციას ისეთი კილო მისცეს, თითქოს ახალი არაფერი მომხდარა და ეს რეზოლიუცია მხოლოდ განმეორება იყო წინანდელი კონგრესების! შემდეგ წლებში კონგრესები სხვა ქვეყნებში გაიმართა. მათზე დასწრება ტექნიკური მიზეზების გამო არ ხერხდებოდა. ამიტომ საქართველოს დელეგატი ქენევიდან წერილობით აგონებდა კონგრესებს (მაგ. ვარშავაში, ათინაში დასხ.) 1926 წ. მიღებულ რეზოლიუციას და კვლავ მიუთითებდა მათ, რომ მშვიდობიანობის აუცილებელი პირობაა ინტერნაციონალური სამართლიანობა და ერთა თავისუფლება. ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიურომ გაიზარა ეს მოსაზრება და 1930 წ. წერილთ პასუხი მოსთხოვა ლიტვინოვს საქართველოს წინამდებ ჩადენილ ძალმომრეობისა და საერთაშორისო უფლების დარღვევისათვის. და ეს სწორედ იმ დროს, როცა საზოგადო აზროვნება ყველაფერს ივიწყებდა და საბჭოთა რუსეთს ეარშიყებოდა. მოსკოვმა ბიუროს პასუხი ვერ გასცა. საზოგადო აზროვნებამ მას კვლავ ზურგი აქცია და კვლავ საქართველოს მიმართ სრული თანაგრძობით განიმსჯალა.

ლოკარნო, 1-6 სექტემბერი 1934 წ. — იმის წარმოსადგენად, თუ რა აუწერელ ატმოსფეროში მოგვიხდა მუშაობა ამ მშვიდობიანობის მსოფლიო კონგრესზე, საჭიროა მოვიგონოთ, რომ პიტლერის მიერ გერმანიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდებად დემოკრატიათა საშინლად თვალეები დაუბნელა, გზა დაუბნია, და მოსკოვის დიქტატურასთან დაკავშირებაში დაიწყო თავის შველის ძებნა; ერთი სიტყვით, დემოკრატიათა გამართლა ანდახა ქათამზე — თავის დასაკლავი დანათვით გამოჩნდა. დემოკრატიულ სახზე დამწკრივებული საზოგადოება უცნაურმა ფსიქოზმა შეიპყრო: მას დაინტერესებულმა წრეებმა და ზოგმა მთავრობებმა უთხრეს, თუ საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შემოვიყვანო, ომის ყოველივე საშიშროება მოისპობაო, და მან ეს დაიჯერა!

აი, ამ საზოგადოების მოწინავე რაზმთან გვქონდა საქმე უმთავრესად ლოკარნოში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ზოგი მთავრობების ოფიციალური წარმომადგენლები. თურქეთის მთავრობამ ოფიციალური წარმომადგენელიც გამოგზავნა. რუმინიამ, რომელიც ბესარაბიის გამო 16 წ. განმავლო-



ბაში ომს ამახადებდა რუსეთის წინააღმდეგ და ახლა უცბად დაუმეგობრდა მას, გამოგზავნა შერჩეული წარმომადგენლობა: სავეანუ, პარლამენტის თავმჯდომარე; მალდორიანო, სენატის თავმჯდომარე; ილიესკო, სენატის ვიცე-თავმჯდომარე; ვასილიუ, დელეგაციის (ვერსალის ზავიდან მოკიდებული) მდივანი—ექსპერტი; საერთაშორისო უფლების პროფესორი პელა, ელჩი ვენაში და დელეგატი ერთა ლიგაში. საფრანგეთის დელეგაცია შესდგებოდა 56 კაცისაგან იმ დროს, როცა მისი რიცხვი წინად 15-20 კაცს არასოდეს გადასცილებია.

კონგრესის დღის წესრიგში იყო ყველა დიდი პრობლემა, რომელიც დღესაც აღელვებენ ევროპას: განიარაღების, ლოკარნოს შეთანხმებები და მშვიდობიანობა ევროპაში, ბალკანეთის კონფერენციები და ათინის პაქტი, ერთა ლიგის პაქტის გადასინჯვა, აქტუალური საკითხები. ყველა პრობლემების შესწავლა განაწილებული იქნა შესასწავლად ხუთ კომისიაში. აქტუალური საკითხები, რომელთა შორის რუსეთის ერთა ლიგაში დაშვება და საქართველოს საკითხი იყო, მეოთხე კომისიას გადაეცა. ბიურომ გაიზიარა ჩვენი შეხედულება ამ საგანზე და კონგრესისთვის წარდგინდა რეზოლუციის პროექტი—სურვილს გამოსთქვამდა რუსეთის ერთა ლიგაში მიღებისათვის, რაც მისი აზრით საქართველოს უფლებების აღდგენასთან ერთად უნდა მომხდარიყო თავმჯდომარედ მეოთხე კომისიისა კონგრესმა სწორედ რუმინელი დელეგატი პელა აირჩია. მან კი მდივნად თავისი კაცი ვასილიუ გაიყვანა.

მთელი კონგრესი დაესწრო მეოთხე კომისიის სხდომას. დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი საქართველოს საკითხითურთ. მაგრამ თავიდანვე ეტყობოდა, რომ ეს უკანასკნელი პრეზიდენტს მოსვენებას არ აძლევდა და მიფუჩქების ტენდენციაც იქნა გამოიჩინა. განსაკუთრებული სისწრაფით, თითქმის შეუმჩნეველად, წაკითხულ იქნა ბიოსიოს პროექტი, რის შემდეგ თავმჯდომარემ სხვა საკითხზე დისკუსიის გახსნის წინადადება მისცა კრებას. ეს შეთქმულება მაშინვე შეამჩნია საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტის თავმჯდომარე მალშმა და დიდის ტაქტიკით და მჭერმეტყველობით შენიშნა: «მიუხედავად იმისა, რომ სრული ერთსულნივანება სუფევს, რაც სავესებთ ბუნებრივია ასეთ უზენაესად სამართლიან, წმინდა სინდისის საკითხზე, როგორც საქართველოს პრობლემა, მე მაინც საჭიროთ მიმაჩნია მოვავლოთ მოკლედ საქართველოს მდგომარეობის უმთავრესი მომენტები». აღნიშნა ის, თუ რა პირობებში დაკარგა საქართველო დამოუკიდებლობა და განსაკუთრებით შეჩერდა მის ინტერნაციონალურ მხარეზე და ერთა ლიგის მოვალეობაზე. ამან გამოამყდევინა ნამდვილი ზრახვები: რომ რეზოლუცია ჩვენთვის მიღებულიად მოეჩვენებიათ, კონგრესის პლენუმზე კი განეცხადებიათ, რომ კომისიას საკითხი არ შეუსწავლია და ის მომავალი კონგრესისთვის გადაიდოს. თავმჯდომარემ, 7-8 ორატორის მტკიცების შემდეგ როცა ეს საკითხი უდროულია, მშვიდობიანობის დაცვას ხელს შეუშლის იმ დროს, როცა რუსეთმა კეთილ ინება ერთა

ლიგაში შესასვლელად თავისი კანდიდატურის წამოყენება, და სხ.—კვლავ მიმართა კრებას, გადასულიყო სხვა საგანზე. ავიღო სიტყვა და ჯერ თავმჯდომარეს ვუთხარი, რომ ელემენტარული სამართლიანობა და თვით კონგრესის ღირსება მოითხოვს, სათანადო მსჯელობა მოხდეს დღის წესრიგში შეტანილ კითხვებზე დამოუკიდებლად იმისა, თანაუგრძობთ ჩვენ ამ კითხვებს თუ არა. შემდეგ ვუბასუხე იმ ორატორებს და განვაცხადე: «გნებავთ თუ არ გნებავთ, თქვენ ამ საკითხს (საქართველოს) გვერდს ვერ აუტყვევთ. პასუხის მიცემა აუცილებელია». ერთმა მეგობარმა ფრანგმა (პრედლომამ) მაშინვე სიტყვა აიღო და მხარი დამიჭირა. რამაც კრებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მოულოდნელობით და მალშმა ხელახლა ილაპარაკა. მერე თავმჯდომარემ პასუხი მე გამცა, «როგორც საერთაშორისო უფლების პროფესორმა». თავისი ერთ სათიანი ლექციით ის შეეცადა დავერწმუნებო, რომ პაქტი თითქოს სრულებით არ ავალებს ერთა ლიგას რაიმე პირობა დაუდვას წვერად. გახდომის მოსურნე სახელმწიფოს. მე შევნიშნე: «ის სასტუმრო ხომ არ არის, განუკითხავად შებრძანდენ და გამობრძანდენ. ის მოწყობილი საზოგადოება თავისი სავალდებულო სტატუსით. მომეციო სიტყვა და დაგიმტკიცებთ სრულებით წინააღმდეგ თქვენი უცნაური თეორიისას». მან მიპასუხა ჩაგწერთო და კრება კი დახურა. შემდეგ კრებებს ის არ დასწრებია, მისი ამხანაგი თავმჯდომარეობდა. უმისოთ მისთვის პასუხის გაცემა მე არ მინდოდა. დისკუსიამ საქართველოს კითხვანე სამი დღე გასტანა, მაგრამ შეთანხმება არ მოხდა. ამიტომ არჩეულ იქნა სარედაქციო კომისია 9 კაცისაგან. ამ კომისიაშიც ძალიან ცხარე დისკუსია იყო. სამჯერ შეიკრიბა, სხდომებს გარეშე პირებიც ესწრებოდენ და წამდაუწუმ დისკუსიაში ერეოდენ. დავამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. მოვიყვანო ორიოდე დამახასიათებელ მაგალითს:

მალშს მოჰყავს ციტატა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებიდან. ლიუსიენ ლეფუაიე თავის გრძელ სიტყვაში ამტკიცებს სხვათა შორის, რომ ეს ციტატა მოყვანილია ინდივიდუალური შრომიდან. ხ. შავინილი მაშინვე ერევა კამათში, აჩვენებს კომისიას წინაგად გამოცემულ ხელშეკრულებას და ეკითხება ლეფუაიეს: «ამას ემახით თქვენ ინდივიდუალურ შრომას? ამ შემთხვევაში ყველა ხელშეკრულებები, კერძოთ ვერსალის და ლოკარნოსი, რომელთაც ასე კარგად იცავთ, ხომ ინდივიდუალურ შრომად უნდა ჩაითვალოს. ხელშეკრულება ინტერნაციონალური კანონია. მისი დამრღვეველი დამნაშავეა და როგორც ასეთი დასჯილი და არა დაჯილდოებული უნდა იქნას. აქ ორი სახეობა არ შეიძლება. ვინც სხვანაირად მსჯელობს, ნებით თუ უნებლიეთ, ის ომის მომხრეა». ლეფუაიე დებულობს სიტყვას და ამბობს, რომ ერის უფლება კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენ უფრო დიდი ამოცანა, მშვიდობიანობის დაცვა გვიანტერესებს და ამას უნდა დაუმორჩილოთ ის. —შ-ლი: «ჩემი ყურებით მესმის და მაინც არ მჯერა, რომ ეს სიტყვები თქვენი პირიდან ამოდის. მართლაც, ერის



უფლების გარეშე როგორ შეიძლება მშვიდობიანობის დაცვა, ვისთვის და რისთვის? რა პრინციპის ძალით, რომელი იდეალის სახელით შეგიძლიათ გამოართვოთ თქვენ, წარმომადგენელმა საფრანგეთის დიდი რევოლუციისა, რომელმაც მისცა კაცობრიობას ისეთი მშვენიერი პრინციპი, როგორც ადამიანის და ერის უფლების აღიარება?»—დისკუსია, რომელშიდაც 7 კაცმა მიიღო მონაწილეობა, არ დასრულდა და გადაიდო შემდეგ კრებისათვის. იმავე პატივცემულმა ლეფუაიემ, რომელიც დიდ უმრავლესობას ედგა სათავეში, წამოაყენა უკანასკნელი მოტივი საკითხის გადადებისათვის: «ჩვენ ახლა დიდი პრობლემებით ვართ დატვირთულნი, რომელთა გადაჭრა ძლიერ საჩქაროა. ასეთებს ეკუთვნის რუსეთის ერთა ლიგაში მიღება. თუ ჩვენ აქ საქართველოს საკითხი წამოვაცენთ, რუსეთი უარს იტყვის და ასე მშვიდობიანობის საქმე გაფუჭდება. ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება. ამის ასაცილებლად ვიძლევი წინადადებას, რომ, ვინაიდან კონგრესისათვის საქართველოს საკითხი ახალია და ის მას არ იცნობს, მიენდოს ბიუროს მისი შესწავლა და მოხსენება მომავალი კონგრესისათვის.—შილი: «თქვენ ბრძანებთ, კონგრესი საქართველოს საკითხს არ იცნობს. განა არსებობს სადმე რომელიმე საზოგადოება, რომ ამ საკითხს არ იცნობდეს? რომელ კონგრესზე, რომელ კონფერენციაზე არ დამდგარა ის? მოიგონეთ კერძოდ ამ კონგრესის რეზოლიუცია ენევაში 1926 წ. მოიგონეთ თქვენთან ერთი საათის მუსაიფი ამ კონგრესის გათავებისას. მოიგონეთ მაშინდელი თქვენი აზრი საქართველოს მდგომარეობაზე და თქვენი კეთილი რჩევები და მაშინ ბრძანეთ, თუ რა არის აქ უცნობი». ამის შემდეგ მას დისკუსიაში მონაწილეობა არ მიუღია. თავმჯდომარის გვერდით იჯდა ხალხი, რომელნიც სულ ეუბნებოდნენ: «რუსეთი ისე გვესაუბრობდა მშვიდობიანობისათვის, რომ უმისოდ ცხოვრება არ შეგიძლიათ». ამ მხრით ქ-მა დინმა განსაკუთრებით ისახელა თავი, რომელიც მუდამ ასეთი სიტყვებით გვაწყვეტივდა ლაპარაკს. როგორც იყო საჩუქარი კომისიაში მოხდა შეთანხმება ორი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ რეზოლუციის ტექსტზე. ერთი აღიარებს საქართველოს უფლებას, რომლის აღდგენას ითხოვს ერთა ლიგისაგან. მეორეს სასიამოვნოდ მიიჩნია რუსეთის ერთა ლიგაში შესვლა. ეს უპირობოდ დაშვების სურვილი ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა. ამიტომ კონგრესის თითქმის ყველა წევრებმა რეზოლუციის გარეშე ცალკე პეტიციით მიმართეს ერთა ლიგას, რათა საქართველოს საკითხი სულ ახლო მომავალში გადაეჭრა.

ასე, მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის დიდ უმრავლესობას წინდაწინ გადაწყვეტილი ჰქონდა საკითხი უდროულად ეცნო, საქართველოს სასარგებლოდ რეზოლუცია თითქმის ერთხმად იქნა მიღებული კონგრესის მიერ.

კარდიფი, 1936 წ. 13-19 ივნისი.—ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. არა ერთმა და ორმა გაიგო, რომ საბჭოთა რუსეთი მშვიდობიანობის ფაქტორი არ არის, რომ, პირიქით, მშვიდო-

ბიანობას საფრთხე სწორედ ამ მხრით მოელის, რომ ბოლშევიკები ქვეყნისათვის უფრო საშიშნი არიან როგორც მეგობრები, ვინმე მტრები...

მშვიდობიანობის მე-31 მსოფლიო კონგრესი ენევის ინტერნაციონალურმა ბიურომ მოიწვია, როგორც ჩვეულებრივ. ხოლო ინგლისელებმა ის მიიპატიჟეს ქალაქ კარდიფში, ამ ქვეყნის პირველ პაციფისტურ საზოგადოების 120 წლის აღსანიშნავად. ეს დღესასწაული გადახდილ იქნა, კონგრესის ოფიციალურად გახსნამდის, დიდის ზემოთ ქ. ნითში, სადაც დასაფლავებულია საზოგადოების დამაარსებელი პრაისი. აქ წარმოქმულ იქნა მრავალი სიტყვები, მათ შორის ქართულიც (განა პრაისი წარმოიდგინდა, რომ ოდესმე მის სასაფლაოზე ქართულ სიტყვას ექნებოდა ადგილი?). კონგრესის გახსნას დაესწრა დიდ ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელი რამზეი მაკდონალდი და დიდი პოლიტიკური სიტყვაც წარმოსთქვა. თავმჯდომარეობდა ლორდი დავისი. შემდეგ პლენარულ კრებებზე მოხსენებები წაიკითხეს მორგენ ჯონსმა, პროფ. კიუიდეტ, ლორდებმა დავისმა და ალენმა, პროფესორმა დელაბრადელმა და ლეფუაიემ. ამ მოხსენებების გარეშემო ფართო და საინტერესო დისკუსიები გაიმართა, რაც ხელს უწყობდა კომისიების მუშაობას უმთავრეს რეზოლიუციების შესამუშავებლად. ასეთი კომისიები სამი იყო. აქტუალური საკითხები, როგორც ეთიოპისა, პირველ კომისიას გადაეცა. თუმცა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონ. კომიტეტის სახელით ბიუროს გადაეცა წინადადება ამ ქვეყნის მდგომარეობაზე, ეს საკითხი კონგრესის წესრიგში არ შეეტანათ. ამიტომ მეც პირველ კომისიაში შევედი და დღის წესრიგის განხილვის დროს ბიუროს გენერალურ მდივნის გოლმეს განცხადების შემდეგ, რომ ეს კითხვა შეცდომით არ მოხდა წესრიგში, განვაცხადე, რომ მზად ვიყავი, ყოველ კითხვაზე პასუხი გამეცა, თუ ვინმე მოისურვებდა. კითხვები მრავალი აღმოჩნდა. განსაკუთრებით ინგლისელების მხრივ.

მიღებულ რეზოლიუციაში ახალია ის, რომ პირველადაა აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირი წევრია ერთა ლიგის, რომელიც ეროვნულ თავისუფლების პრინციპზეა დამყარებული. ასეთივე პრინციპი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისა, რომელიც კავშირის შემადგენელ ეროვნულ ნაწილების სრულ დამოუკიდებლობას სცნობს. აქედან, საერთაშორისო უფლების და ევროპიულ ლოლიკის ძალით, ან უნდა მოშალოს მან თავისი კონსტიტუცია და ერთა ლიგიდანაც გავიდეს, ან პრაქტიკულად უნდა გაატაროს ის, რაც პრინციპილურად მის მიერ აღიარებულია.

ს. შავიშვილი.

ენევა, 12-9-36.

P. S. გასული წლის აგვისტოში ბრიუსელში, სადაც საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღეს, მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიუროს კონფერენცია იყო და არა მსოფლიო კონგრესი, რაც ერთი და იგივე არაა.

ბერლინი და მოსკოვი

ბერლინის და მოსკოვის სასტიკი დაპირისპირება აშკარა ფაქტია, თუმცა ეკონომიური დამოკიდებულება მათ შორის ჯერ კიდევ ურიგოთ არ წარმოებს: საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჩვეულებრივ გრძელდება, და ამ მოკლე ხნის წინ მოზრდილი კრედიტიც მიიღო «სიუხვეში მცურავმა» მოსკოვმა ბერლინიდან, რომელსაც თვითონვე სრულიად გაკოტრებულ-გაჩანაგებულად აცხადებს. მაგრამ პოლიტიკური და დიპლომატიური დაპირისპირება და მტრობა თვალსაჩინოა. წავიდა ის დრო, როცა თვით დღევანდელ გერმანულ მმართველ პარტიის ზოგი მესვეური მოსკოვთან საგარეო-პოლიტიკურ და სამხედრო კავშირის ჩამოგდებაზეც ოცნებობდა. ასეთი გეგმის მომხრენი ან სულ ჩამოშორდნენ მოძრაობას, ან უკან ჩადგნენ, ან კიდევ ძლიერ გამოიკვალნენ, ის დროც წავიდა, როცა ზოგი მეთაური უკვე გამარჯვებულ ნაციონალ-სოციალიზმისა ბოლშევიზმთან ბრძოლის მიზნებს მხოლოდ გერმანიის კომუნისმის დათრგუნვით საზღვრავდა და თვით საბჭოთა კავშირს, თვით «რუსეთს» სრულ ლოიალობას, კეთილმეზობლურ და მეგობრულ დამოკიდებულებასაც კპირდებოდა. მოხდა თუ არა გადატრიალება ბერლინში, მოსკოვმა ისარგებლა ევროპა-ამერიკაში შექმნილი პანიკა და მალე გააბა კავშირი ამ უკანასკნელებთან. მან დაივიწყა გუშინდელი პოლიტიკურ-მილიტარული მოკავშირე და დაუმეგობრდა ერთ დროს მის მიერ ყბად აღებულ ანტანტას, რაკი შეექმნა საამისო საშვალეობა და რადგან იმასთან მეტ სიმდიდრეს და სიძლიერეს ხედავდა. ამით მოსკოვს და ბერლინს შორის საბოლოოდ ჩატყდა ხიდი, და მიეცა მძლავრი გასაქანი არა მარტო იდეურ-პროპაგანდისტულს, არამედ აგრეთვე პოლიტიკურს და დიპლომატიურ ბრძოლას. ეს ბრძოლა დღითი-დღე ძლიერდება და უფრო და უფრო მკაცრს ხასის ღებულობს. თვითეული მხარე უმძიმეს საბრალდებულთა ოქმებს უყენებს მეორეს; თვითეული ბრალს სდებს მეორეს: «შენ ომით, თავდასხმით მემუქრები», და ორივე გაფაციცებულ საომარ მზადებაშია.

მოსკოვისადმი დაპირდაპირება, საომარი მზადება და მოკავშირეების ძებნა ახასიათებს დღეს გერმანიის მთელ საზინაო თუ საგარეო მზადება მუშაობას. ეს აშკარად სჩანს გერმანულ პრესაშიც, უპირველესად ამ უკანასკნელი დროის უმნიშვნელოვანეს ამბების დაფასებაში. მხოლოდ აბაშეთის საკითხში არ სჩანდა ეს დაპირდაპირება. მოსკოვიც პლატონურად მაინც ასე თუ ისე აბაშეთს თანაუგრძობდა, და გერმანიის საზოგადოებრივი აზრის სიმპატიაც თავისუფლებისთვის მებრძოლ პატარა ერის კენ იყო. რა მიზეზით? ცხადია, აქ როლს თამაშობდა ის ფაქტი, რომ ერთგული თავისუფლება ნაციონალ-სოციალიზმის დროშაზე აწერია. მაგრამ ალბად არანაკლებ როლს თამაშობდა მეორე გარემოებაც: მეტად მტკივნეულად ახსოვდათ ბერლინში მუსო-

ლინის მიერ 1934 წლის აგვისტოში გაკეთებული უესტი-ავსტრიის საზღვარზე ჯარის მოყრა, თითქოს ვენაზე მიმავალ გერმანიის შესაჩერებლად. და შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ბერლინისთვის, ნამეტნავად მთავრობისთვის, ინგლისთან კონტაქტის სურვილი. ხოლო თუ კი სადმე გერმანიას ასეთი მძლავრი მომენტები ხელს არ უშლიან, იქ მას მოსკოვისადმი დაპირდაპირებას არაფერი ურჩევნია. ისპანიის ტრაგედიას ბერლინი მხოლოდ მოსკოვის საქმედ სთვლის. ისპანიის ამბებს თავიდანვე უწოდებს ბრძოლას ბოლშევიზმსა და ნაციონალიზმს შორის და აშკარად უცხადებს თავის სიმპატიებს უკანასკნელს. თვით არაბეთის აჯანყებაშიც, რომელიც ადგილობრივ მაინც ებრაელების წინამძღვე არის მიმართული, იმ ებრაელების, რომელნიც ბერლინში მეტად არ უყვართ, — მოსკოვის ხელს ხედავენ — ინგლისის წინამძღვე მიმართულს...

ზინოვიევი-კამენევის და კომპანიის დახვრეტაშიც ბერლინი უპირველესად მოსკოვის საომარ მზადებას ხედავს. თვით პაულ შეფერი — ერთ დროს მოსკოვის მეგობარი — ასე სწერდა:

«როცა ძველი სტილის ციხე-სიმაგრეს ომისთვის ამზადებენ, მის წინ მდგომ დიდრონ ხეებს გადასჭრიან და თუ საჭიროა, ზოგ ახლოს მდგომ სახლებსაც დაარღვევენ, ისეთებს, რომელნიც ზარბაზნის ყუმბარების სასროლი ხაზის გასწვრივ გულუბრყვილოდ ატუხულან. მოსკოვის პროცესი, რომელიც სრულიად მოულოდნელად მოგვევლინა, ბევრ თავსატეხ კითხვას და ეჭვს აღძრავს. ის სპობს სიმწიფეებს, რომელთაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ უცხოეთის წინამძღვე მიმართულ მომავალ იერიშებისთვის. ეს არის მისი შინაგანი აზრი» (ბერლინერ ტაგებლატი» 26 აგვ.).

მთელი გერმანული პრესა დღეს სრულიად მოურიდებლად ფარდას ხდის საბჭოთა კავშირის დუხჭირ ცხოვრების ყოველივე კუნჭულს: შიმშილს, ტერორს, ეროვნებათა ჩაგვრას, რელიგიის წაბილწვას, ოჯახის დანგრევას და სხვ. ბერლინში დაარსებული ანტიკომინტერნი-ჯერ კიდევ ნორჩი დაწესებულებაა — თავის მრავალწიერ გამოცემებში (იხ. «დამ. საქ.» № 127) ლამობს კომინტერნის პროპაგანდის დაძლევას. ყოველი საერთაშორისო ხასიათის აქტი თუ ყრბობა, რომელიც კი გერმანიაში იმართება, იმართება მოსკოვის მონაწილეობის გარეშე. წარსულ ივლისში სახელგანთქმულმა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტმა, რომელიც გერმანიის უმეფლესი უმაღლესი სასწავლებელია, გადაიხდა თავისი არსებობის 550 წლის იუბილე. მთელი დედამიწის უნივერსიტეტები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები იყვენ მოწვეულნი. გამოაკლისს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი. აგვისტოში ბერლინში მოწყობილ საერთაშორისო სასპორტო ოლიმპიადში, რომელიც უდიდესი ხელოვნებით და ზემოთ



ჩატარდა, მონაწილეობდა მთელი დედა მიწის სპორტული ახალგაზდობის მოწინავე ნაწილი. გამონაკლისს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი. მაგრამ ყველაზე უფრო ნათლად ეს დაპირდაპირება მოსკოვსა და ბერლინს შორის გვიჩვენა ამაწლის ნიურნბერგის ყრილობამ.

სამხრეთ გერმანიაში, ბავარიის ჩრდილოეთ ნაწილ—ფრანკენის—უდიდეს ქალაქ ნიურნბერგში, რომელიც ცნობილია არა მარტო თავისი მძლავრი ინდუსტრიით, არამედ აგრეთვე თავისი უძველესი და უმშვენიერესი გერმანული სტილის შენობებით, ყოველწლიურად სექტემბრის პირველ ნახევარში იმართება ნაციონალისტური პარტიის ყრილობა. ნიურნბერგს დაერქვა პარტიულ ყრილობათა ქალაქი და აქ კიდევ ააგეს საამისოდ საპირო გრანდიოზული შენობები. აქ გამართული პარტიული ყრილობა არის უდიდესი პოლიტიკური ყრილობა დღევანდელი გერმანიის. ის არის ფაქტიურად უმაღლესი სახელმწიფოებრივი კრებაც, უდიდესი დემონსტრაციაც და სამხედრო აღლუმიც; ის არის ადგილი უმნიშვნელოვანესი მანიფესტაციების როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში. როგორც თვით გერმანიას, ისე უცხოეთს კარგად ესმის ამ ყრილობის მნიშვნელობა, და მას კიდევ ესწრება მრავალი ათასი წარმომადგენელი სხვადასხვა გერმანელი წრეების და აგრეთვე ბერლინის მთელი დიპლომატიური კორპუსიც, რომლისთვისაც სპეციალურად მოწყობილია შესაფერი ლოჯები. მუდამ ცალიერია მხოლოდ ერთი ლოჯა—საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის. ამ დაუსწრებლობას ყოველთვის სრული საბუთი აქვს სამისოდ. მაგრამ მას განსაკუთრებით საბუთი ჰქონდა წელს. იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა ბოლშევიზმთან, რომელიც ნიურნბერგში ყოველ წელს ენერგიულად სწარმოებს, არასოდეს ყოფილა აქაც ისე გაშლილად, ისეთი ენერგიით და მოურიდებლობით ნაწარმოები, როგორც წელს. თითქმის თვითეული მომხსენებელი, ლაპარაკობდა ის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე, მუშათა თუ გლეხთა საკითხზე, ჯარზე თუ ახალგაზდობის აღზდაზე, ომზე თუ წავზე, უპირდაპირებდა გერმანულ მაგალითს რუსულს და ფართედ შლიდა ბოლშევიზმის თეორიისა და პრაქტიკის დაუნდობელ კრიტიკას. ეს დაპირდაპირება ნათლად სჩანდა თვით პიტლერის სიტყვებშიაც, რომელნიც მან წარმოსთქვა როგორც ყრილობის გასსნისას, ისე მის დასასრულს. მაგრამ განსაკუთრებით და ერთთავად მიმართული მოსკოვის წინამდევ იყვენ ორი უმთავრესი მოხსენებები: როზენბერგის და გებბელსის.

ალფრედ როზენბერგი, ნაციონალისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი, თავის რეფერატს არქმევს: «გადამჭრელი მსოფლიო ბრძოლა». აცხადებს რა ბოლშევიზმს უდიდეს და უსაშინელეს საფრთხედ მთელი დედა მიწისთვის, როზენბერგი მწარედ დასცინის «მსოფ-

ლიო პოლიტიკის იმ გადაიბს», რომელნიც ბოლშევიზმს მხოლოდ ჩამორჩენილ რუსეთში სთვლიან შესაძლებლად და არა განათლებულ ევროპაში, რომელნიც ამიტომ აყუჩებენ საზოგადოებრივ აზრს და მართველ წრეებს კომუნისტური საფრთხის წინაშე. ის დამლუპველად სთვლის ყოველგვარ დათმობას ბოლშევიზმის მიმართ.

მომხსენებელი სასტიკად კიცხავს რაბალს ხელშეკრულობას. განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ებრაელებზე და ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ პოსტებზე ებრაელთა რიცხვი 95-99 პროცენტს უდრის. ბოლოს ის ეხება საბჭოთა მილიტარიზმს, პარიზ-მოსკოვის პაქტს და სხვა საგარეო პოლიტიკურ მახინციებს და დაასკვნის:

«ამრიგად საბჭოთა რუსეთის ლოზუნგი მსოფლიო წავის შესახებ ერთა ლიგაში იყო უდიდესი და უტიფრესი ტყუილი და ამ უსიძვენილობის სიმბოლო არის ებრაელი ლიტვინოვი, რომელიც თავის აგენტების საშვალებით ყველა ქვეყანაში ბოლშევიკურ რევოლუციას ფინანსურ საზრდოს აწვდის და ამავე დროს კი ყენევაში საბჭოთა კავშირის წრფელ სახავო მიხნებზე ლაყბობს»...

«დღეს ხელახლა ბევრს ლაპარაკობენ ევროპასა და დასავლეთის კულტურაზე. ამ კულტურას მოსკოვი უცხადებს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას. თვით ამ კულტურის ოფიციალურმა დამცველებმა სახიზლად უღალატეს მას ყენევაში საბჭოთა მიღებით».

პროპაგანდის მინისტრის იოსებ გებბელსის მოხსენებაც «ბრძოლა მსოფლიო მტერს» თავისი მთავარი დებულებებით და მიდრეკილებით ცხადია ისეთივე ხასიათის არის, როგორც როზენბერგის. გებბელსი უფრო ვრცლად ეხება საბჭოთა კავშირის შინაგან მდგომარეობას და საგარეო პოლიტიკას.

«ბოლშევიზმი—ამბობს ის—უბადრუკთა დიქტატურაა. ის იპყრობს ძალაუფლებას ტყუილის საშვალებით და ინარჩუნებს მას ძალადობით. უნდა იცნობდე მას, უნდა ვასუვრიტო მისი უღრმესი საიდუმლოებანი, რომ შესძლო სწორად დაკვრა»...

«რამდენადაც მომხიბლველი და მიმზიდველია ბოლშევიკური თეორია, იმდენად საშინელი და შემწარავია ბოლშევიზმის პრაქტიკა. ლეშთა მთები ავსებენ მის გზას; სისხლის და ცრემლის ზღვაში სცურავს ეს უბედური ქვეყანა. ადამიანის სიცოცხლე აქ არარად ფასობს»...

«ბრძოლა ბოლშევიზმის წინამდევ არის მსოფლიო ბრძოლა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით... ბოლშევიზმი უნდა განადგურდეს, თუ ევროპას კვლავ უნდა ეღირსოს გაჯანსაღება»...

გებბელსი იგონებს რუსეთის მუშათა და გლეხთა უმწყო მდგომარეობას, 6½ მილიონ მონურ შრომაში ჩაბმულ პატიმართ, ნაძალადევ კოლექტივიზაციას და მის საშინელ შედეგებს, ოჯახის დანგრევას, ქალის მძიმე მდგომარეობას, მთელს საბჭოთა კავ-

შირში უმაგალითოდ მძინვარე პრესტიჟუცისა, ბრძოლას ეკლესიასთან და სხვ. უფრო ვრცლად ჩერდება სამხედრო ინდუსტრიაზე და შეიარაღების ტემპობებზე, და ამტკიცებს, როგორც წითელ მეთაურთა სიტყვებზე, ისე მათ საქმეებზე მითითებით, მათ იმპერიალისტურ ძრახვებს და მათ მზადებას თავდასხმისთვის. ფარდას ხდის მოსკოვის ფარისევლურ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ის ხან პირდაპირ, ხან «სახალხო ფრონტის» ნიღაბს ქვეშ აწარმოებს. აქვე გებელსი გადადის საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვებზე:

«1917 წლის 16 ნოემბერს ლენინმა თავის «მანიფესტში ეროვნებათა შესახებ» აღუთქვა ყოფილ სამეფო იმპერიის ყველა ერებს თავისუფლება. როგორი იყო ეს უკანასკნელი სინამდვილეში? 1920 წლის 27 აპრილს წითელმა არმიამ გადასთელა აზერბაიჯანი, იმავე წლის ნოემბერში უკრაინა, 3 დეკემბერს სომხეთი და 1921 წლის 25 თებერვალს ახალგაზდა რესპუბლიკა საქართველო, რომლის დამოუკიდებლობა მას წინა წელში ხელშეკრულებით ჰქონდა ხაზგასმით ცნობილი».

გებელსი იგონებს აგრეთვე ინგერმანლანდიის ფინების, გერმანელ კოლონისტების და კარელების ბედს. შემდეგ ეხება კომინტერნის დამარღვეველ-პროვოკატორულ მუშაობას სხვადასხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ისპანიის მაგალითზე.

მისი სიტყვის დასკვნითი ნაწილიდან მოვიყვანთ შემდეგ ადგილებს:

«ეს არ არის უბრალო ფრაზა, როცა ჩვენ გერმანელები დედამიწის ერებს მოვუწოდებთ, შეკავშირდნენ ამ საფრთხის წინაშე. გერმანიამ ამ მსოფლიო ბრძოლაში სიგნალი აღმართა»...

«წითელი აღმოსავლეთი იმუქრება, მაგრამ ჩვენი მეთაური სადარაჯოვნედ დგას. გერმანია როგორც ევროპული კულტურის ავანგარდი მზად არის და მას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს, ეს საფრთხე თავის სახფრებებიდან უკუაქციოს».

«მოსკოვის წითელი ანარქია გაცხარებული სიბეჯითით იარაღდება. მისი შეიარაღება აგრესიული ხასიათისაა, ვინაიდან თვითველი წითელი ათასეული თავის არსებაში მსოფლიო რევოლუციის სტიმულს ატარებს. თვითველი წითელი პაეროპლანი, თვითველი წითელი ზარბაზნი შენდება იმ მიზნით, რომ ევროპაში ქაოსი შემოიტანოს».

«წითელმა კრემლმა სამხედრო სამსახურის ვადის გაგრძელებით წითელი ჯარის ეფექტიური სიძლიერე საგრძობლად გაზარდა. ჩვენმა ბელადმაც შესაფერი პასუხი გასცა. ორწლიანი სამსახურის შემოდებით მან კვლავ მისცა გერმანიას უმიშროების გარანტია, რომელიც აუცილებელი იყო ჩვენი ერის წითელი ანარქიისგან დასაცავად».

«გერმანია უზრუნველყოფილი და დაცულია აღმოსავლეთიდან მომავალი წითელი ტალღა ნაციონალსოციალიზმის სანგრებს შეასქდება».

ამ ამონაწერებიდან უკვე ნათლად სჩანს ის სუ-

ლი, რომელიც ტრიალებდა ნიურნბერგში და რომელიც ტრიალებს მთელს დღევანდელ გერმანიაში. მოსკოვის მიმართ, რომელიც არც თვითონაა მორიდებული გამოთქმებში, არც აქ აქვს მორიდებას რაიმე ადგილი.

მაგრამ ჩვენს მკითხველს შეუძლია სთქვას: «ბოლშევიზმის მიმართ არა, მაგრამ რუსობის მიმართ კიდევ ერთგვარ ზედმეტ დათმობას და მორიდებას არა აქვს ადგილი? ჩვენ, რასაკვირველია, მადლიერი ვართ თვითველი სიტყვისთვის, რომელიც ნიურნბერგში ჩვენი და მეზობელი ერების ტრაგედიაზე ითქვა, მაგრამ ვანა საბჭოთა კავშირის არარუს ერებზე, რომელნიც მცხოვრებთა ნახევარს მინც წარმოადგენენ, მოსკოვის უღლის ქვეშ ორმაგად იტანჯებიან და წარმოადგენენ ადგილობრივად ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მთავარ ძალას,—მეტი არ უნდა თქმულიყო, ვინემ ამას ადგილი ჰქონდა?»

მართლაც, თვით ისეთი გაბედული ანტიბოლშევიკებიც, როგორიც ნიურნბერგში გამოსული ორატორები იყვნენ, როდესაც მოსკოვის იმპერიალიზმზე ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა ყურადღებას აქცევენ მის დღევანდელ მახინაკიებსა და ცდებს, რომელნიც საბჭოთა კავშირის ფარგლების კიდევ უფრო მეტი გაფართოებისკენ არის მიმართული, და არა იმ მრავალ არარუს ერის ბედს, რომელიც მოსკოვის იმპერიალიზმმა დიდი ხანია დაიპყრო და აწამებს. ჯერ კიდევ ხშირად გაისმის სიტყვა «რუსეთი», «რუსის გლეხი» და სხვა ისეთი ადგილების შესახებაც, სადაც არც რუსეთია და არც რუსის გლეხი. ერთმა პასუხისმგებელმა მომხსენებელმა ამჟამადაც კი წამოაყენა ბრალდება ბოლშევიზმის წინააღმდეგ: «მან სიტყვა «რუსეთი» მოსლოცა» რასაკვირველია, ეს საყვედური უსაფუძვლოა და ბოლშევიზმი რუსული იმპერიალიზმის საქმის მკეთებელია.

არა აქვთ ყოველივე ეს საქმაოდ გაგებულ-გათვალისწინებული გერმანიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი აზრის მესვეურთ, თუ მათი თავდაპირილობა დიპლომატიური მოსაზრებებით აიხსნება? ნაწილობრივ ერთიც და მეორეც, ერთიც, ვამბობთ ჩვენ, რადგანაც გარდა ზოგიერთი ზემოაღნიშნული არასწორი გამოთქმებისა, ჩვენ ვხედავთ ზოგ ბოლშევიკოვან საქმეებსაც: თვით ის რაპალოს და ბერლინის ხელშეკრულებანი, რომელნიც ვრცელდებიან არა მარტო საბჭოთა რუსეთზე, არამედ იმ ქვეყნებზედაც, რომელიც მან ძალით დაიპყრო, და თვით იმ ქვეყნებზეც, რომელნიც შეიძლება მომავალში დაიპყროს (sic!),—ჯერაც ძალაშია! აქ თავს იჩენს, ჩვენი აზრით, ყველა საგარეო უწყებისთვის ჩვეულებრივი კონსეოვატიზმიც და საზოგადოებრივ აზრში ძველთაგანვე ჩამჯდარი წარმოდგენაც «რუსეთის» შესახებ. მეორე მხრივ ისიც უჭირა, რომ ნაციონალსოციალიზმის მეთაურები ფაქტობრივად იყვნენ (განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთის) მთავრობების და საზოგადოებრივ აზრის გაღიზიანებას პიტლერის ექსპანსიურ მიზნებზე გოდებით. ეს სიფ-



რთხილუ ზედმეტია, ცხადია. საბჭოთა კავშირის არარტუს ერთა თავისუფლების პრინციპი გაცილებით უფრო ძლიერ საბუთად შეიძლება იქნეს წამოყენებული, ვინემ თვით რუსის ხალხის ბოლშევიზმისგან გათავისუფლების სურვილი.

ყოველ შემთხვევაში საბუთი გვაქვს ვთქვათ, რომ უეჭველ და საგრძნობ პროგრესს აქვს ადგილი. ჩვენი ერის და სხვა მის ბედში მყოფ ერების ტრაგედია თანდათან მეტ ყურადღებას იპყრობს. ეს ნათლად სჩანს როგორც თვით მინისტრ გებბელსის სიტყვიდან, ისე—კიდევ უფრო—მთელ გერმანულ პრესიდან. წერილების სიხშირე როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვაზე ისე თვითეულ მათგანზე და კერძოთ საქართველოზე თვალსაჩინო ფაქტია. თვითეული გამოსვლაც ამ ერების წარმომადგენლებისა ყენევის ან სხვა რომელიმე საერთაშორისო ტრიბუნაზე, იპყრობს გერმანულ პრესის ფხიზელ ყურადღებას. უკანასკნელი გამოსვლაც ყენევაში ჯგროვანად აღნიშნა ჯგრო ბერლინის რადიომ და შემდეგ გერმანულმა პრესამ, უპირველესად თვით ოფიციალურმა.

ნიურნბერგში ტრიალებდა ომის სუნიც, ისე როგორც მთელს დღევანდელ გერმანიაში. გერმანიის საომარი მზადება უდიდესი ისტორიული ფაქტია. მიზნადაც ხომ აშკარად აცხადებენ უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მოსალოდნელ შემოტევისგან თავდაცვას. ეს განცხადება თითქმის ყოველ-დღე მეორდება. მოსკოვიც ხომ თავის მხრივ გაცილებით უფრო ადრეც გაპყვიროდა: «გერმანია თავდასხმას მიპირობს!» და ეხლა ხომ სულ მთლად ციებ-ცხელებშია. განვითარება მიდის ერთმანეთთან დაჯახებისკენ. მოხდება თუ არა ეს უეჭველად? როდის მოხდება? ვინ უწინ დაიძრება მეორეს წინააღმდეგ? ამის წინასწარმეტყველება არავის შეუძლია. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ მოსკოვის იმპერიალიზმში, თუ მან დასაპყრობი ვინმე იხელთა, საამისოდ მუდამ მზად არის. მეორე მხრით, გერმანიას რომ აღმოსავლეთში ინტერესები აქვს, ესეც ცხადია. ინდუსტრიალურ და ეროვნულად მტკიცედ ჩამოყალიბებულ დასავლეთის სახელმწიფოებიდან რომ მას წასაღები არაფერი აქვს, ეს თვით მეთაურმაც ანდილად განაცხადა.

ამ ძალთა ჭიდილში საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვა მძლავრად წინ იმართება.

y.



გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოეგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA
10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

თანამედროვე პოლიტ. ემიგრაციის ისტორიის
ინსტიტუტი

თანამედროვე პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის ინსტიტუტის მოსაწყობად კრებებს ადგილი ჰქონდა ინსტიტუტის დროებით ბინაზე, პარიზში, Leonce Reynaud-ს ქუჩა № 4.

ინსტიტუტის დანიშნულება იქნება აღწერა, დაგროვება და შენახვა ისტორიულ მოვლენათა, მემუარების, წერილების შესახებ დღევანდელ პოლიტიკურ ემიგრაციისა, მისი წარმოშობისა და მიზნების, მისი არსებობის პირობებისა სხვადასხვა თავშესაფარ სახელმწიფოში. იგი ხელს შეუწყობს ორიგინალურ შრომების დამზადებას და გამოქვეყნებას ამ საკითხების შესახებ, შეისწავლის, თუ რა ზომებია მიღებული სხვადასხვა ქვეყნებში გარდახვეწილთა იურიდიულ სტატუსისათვის და აგრეთვე შეკრებს სტატისტიკურ ცნობებს.

ინსტიტუტის დოკუმენტაციაში შევა ისიც, თუ რა გააკეთა და განახორციელა პოლიტიკურმა ემიგრაციამ სხვადასხვა დარგში: ხელოვნების, მწერლობის, აღზრდის, სარწმუნოების, კომერციის, სასოფლო მეურნეობის, ქველმოქმედების და სხ. საქმეში. იგი დაეხმარება ისტორიულ კოლექციებს და შეეცდება ბიბლიოთეკის და მუზეუმის მოწყობას.

ინსტიტუტის მართველობას შეადგენს ფრანგებისაგან შემდგარი კომიტეტი. ინსტიტუტის ახლებელ კრებებზე წევრებად და კორესპონდენტებად არჩეულ იქნებიან ფრანგები და უცხოელებიც, რომელთაც თავის მოქმედებით ან ნაწერებით შეეძლება რეალური მონაწილეობა მიიღონ ინსტიტუტის მუშაობასა და ისტორიულ გამოკვლევებში.



წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორ!

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გადავუხადო ყველა იმათ, ვინც გვანუგემა მე და ჩემი ოჯახობა ჩემი ძვირფასი დედის ოლღას გარდაცვალების გამო—დაეწრო მის დაკრძალვას, პირადად ან წერილობით სამძიბარი გამოგვიცხადა.

მექი კვდია.



გამოვიდა და იყიდება
ივ. ზურაბიშვილის წიგნი
საქართველოს საერთაშორ. მღვთმარკობა
ფასი 4 ფრანკი.